



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა

წევრები:

ეკა ლეკაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, საქართველო

გაგა გვენეტაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

გიორგი მელაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო

ხათუნა საგანელიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

ნინო ლიპარტია, შპს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო

ვაჟა კელიხაშვილი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი, 2024 წელი

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი არის სამეგრელოს რეგიონის ძირითადი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და 2007 წლიდან ფუნქციონირებს სხვადასხვა სახელწოდებით. ამჟამად დაწესებულება ახორციელებს 9 საბაკალავრო პროგრამას, 2 სამაგისტრო პროგრამას, მასწავლებლის მომზადების პროგრამას, ქართულ ენაში მომზადების პროგრამას, 28 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და 18 მოკლევადიან მომზადება / გადამზადების კურსს. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, დაწესებულებას ჰყავს 77 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 5 აფილირებული პროფესორი, 6 არააფილირებული პროფესორი, 28 აფილირებული ასოცირებული პროფესორი, 22 არააფილირებული ასოცირებული პროფესორი, 9 აფილირებული ასისტენტი - პროფესორი, 7 აფილირებული ასისტენტი და სხვა. საგანმანათლებლო პროგრამებზე ირიცხება 954 სტუდენტი. უნივერსიტეტი აქვს კამპუსი, რომელიც ეტაპობრივად განახლდა და აღნიშნული თვალსაზრისით უნივერსიტეტს ფუნქციონირებისთვის გააჩნია ძალიან მყარი მატერიალური ბაზა.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

შეფასების პროცესი დაიწყო ადგილზე ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ შეხვედრებით და ჯგუფის წევრებისთვის შეფასების პროცედურის შესახებ ინფორმაციის და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიწოდებით. თვითშეფასების ანგარიში მოიცავდა ძირითად ინფორმაციას; ზოგიერთ შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტისგან გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 9 -12 ივნისს, რომელიც ძალიან კარგად იყო ორგანიზებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინატორების და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა კარგი შესაძლებლობა შეესწავლა ყველა წარმოდგენილი მასალა, შეხვედროდა და გასაუბრებოდა სხვადასხვა მოქმედ პირებს უნივერსიტეტში და მის ფარგლებს გარეთ, ასევე დაეთვალისწინა უნივერსიტეტის ობიექტები. ყოველივე აღნიშნული დაეხმარა ექსპერტთა ჯგუფს შეექმნა შედარებით სრული წარმოდგენა უნივერსიტეტის ფუნქციონირების შესახებ.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა აღიარა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ძალისხმევა წინა ავტორიზაციის დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების მიმართულებით. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დადებითად შეაფასა ბოლო წლებში უნივერსიტეტის მატერიალური განვითარება. ექსპერტთა ჯგუფი ასევე შეთანხმდა უნივერსიტეტის ფუნქციონირების ზოგიერთი მიმართულების გაუმჯობესების საჭიროებაზე, რაც აღწერილია რეკომენდაციებსა და რჩევებში. შეჯამების სახით, პირველი, მესამე და მეხუთე სტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. მეორე, მეოთხე, მეექვსე და მეშვიდე სტანდარტები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა 23 რეკომენდაცია და 8 რჩევა. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე გამოავლინა საუკეთესო პრაქტიკის ერთი შემთხვევა.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში ყველა მთავარი დაინტერესებული მხარის წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა.

- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს მონიტორინგის და ანგარიშვალდებულების მექანიზმების ეფექტური შემუშავება და განხორციელება.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა ფრაგმენტაციის შემცირების და დეპარტამენტებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, ასევე იმის უზრუნველსაყოფად, რომ ორგანიზაციული სტრუქტურის სქემაში ზედმიწევნით აისახოს მისია, როლები და პასუხისმგებლობები.
- რეკომენდებულია, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება მიზნობრივი სტრატეგიების შემუშავებით საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის გაზრდის მიზნით, უფრო მოქნილი შესაძლებლობების შეთავაზებით და სტუდენტების და პერსონალის ჩართულობისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფით.
- რეკომენდებულია, თანამედროვე ტექნოლოგიების სრულად გათვალისწინება და გამოყენება, განსაკუთრებით სტუდენტურ და საბიბლიოთეკო რესურსებში, იმის უზრუნველყოფით, რომ როგორც სტუდენტებმა, ისე პერსონალმა იციან და შეუძლიათ დაწესებულების ელექტრონული სისტემების და ინსტრუმენტების გამოყენება.
- რეკომენდებულია, გაგრძელდეს მხარდაჭერა და განვითარება აკადემიური ციტირების და პლაგიატის პოლიტიკის შესახებ საკომუნიკაციო და ტრენინგ პროგრამების გაუმჯობესება, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ყველა სტუდენტის და თანამშრომლის სრული ინფორმირებულობა არსებული სტანდარტების და პროცედურების შესახებ.
- რეკომენდებულია, "ეთიკის კოდექსში" გათვალისწინებული იყოს სექსუალური გადაცდომის საკითხი და აღნიშნული შემთხვევების მართვის მკაფიო წესები, რაც გააძლიერებს დაწესებულების ვალდებულებას ეთიკის და კეთილსინდისიერების მიმართ.
- რეკომენდებულია, გაგრძელდეს მცდელობა, რომ კლინიკური საგნების სწავლებისას უნივერსიტეტს ჰყავდეს მეტი ადგილობრივი პერსონალი და არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ მოწვეულ პერსონალზე.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განახორციელოს ინვესტირება მაღალკვალიფიციურ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალში, საგანმანათლებლო პროცესის სრული და უწყვეტი მართვის უზრუნველყოფის მიზნით.
- რეკომენდებულია, სამუშაო დატვირთვის შესაბამისად პერსონალის საქმიანობის ანგარიშგების მექანიზმების გაძლიერება.
- რეკომენდებულია, პერსონალის მიერ კვლევითი კომპონენტის შესრულების და პროფესიული განვითარების აქტივობების წახალისების მექანიზმების ჩამოყალიბება.
- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ეფექტური ჩართულობა წარმომადგენლობით და ფაკულტეტის საბჭოებში.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები მომზადებულია შესაბამისი წესების, მათ შორის ციტირების წესების დაცვით.
- რეკომენდებულია, 2025 - 2028 წლების სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის განახლება და მასში უფრო დეტალური, გასაგები და გაზომვადი ინფორმაციის გათვალისწინება.
- რეკომენდებულია, პერსონალის უცხო ენის ცოდნის გაუმჯობესების ძალისხმევის გაძლიერება და აღნიშნული გზით კვლევის ინტერნაციონალიზაციის და სწავლების მდგრადობის ხელშეწყობა.
- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს, რომ ყველა პროფესორი და ასოცირებული პროფესორი წარმოადგენენ საჭირო მონაცემებს და იცნობენ შესაბამის კრიტერიუმებს და შესრულების ინდიკატორებს იმისათვის, რომ ობიექტურად შეფასდეს და გაიზომოს უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობა.
- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალის ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგების და რესურსების შეთავაზება, იმისათვის, რომ მათ ეფექტურად შეძლონ განიხილონ შემუშავებული კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები.
- რეკომენდებულია, აკადემიური გუნდის ცნობიერების ამაღლება უნივერსიტეტში კვლევითი ნაშრომების ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭირო სტანდარტების შესახებ.
- რეკომენდებულია, გაგრძელდეს მუშაობა პრაქტიკის ობიექტების მოძიებაზე და ხელშეკრულებებში აისახოს პარტნიორი დაწესებულების მიერ მისაღები სტუდენტების მაქსიმალური / მინიმალური რაოდენობა.

- რეკომენდებულია, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებზე განხორციელდეს უფრო ინტენსიური და ეფექტური მუშაობა.
- რეკომენდებულია, ვებ - გვერდზე განთავსდეს საერთაშორისო ელექტრონული ბაზების და ელექტრონული კატალოგების გზამკვლევი, რაც აპლიკანტებს მიცემს შესაძლებლობას დამოუკიდებლად გამოიყენონ აღნიშნული სერვისები.
- რეკომენდებულია, სრულ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით გაუმჯობესდეს და განახლდეს უნივერსიტეტის ვებ - გვერდი.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე განახლდეს ფინანსური და აუდიტის ანგარიშები.

რჩევები

- სასურველია, მისიაში გათვალისწინებული იყოს უნივერსიტეტში კვლევით აქტივობებზე ახლად წარმოქმნილი ძლიერი აქცენტის ასახვის შესაძლებლობები.
- სასურველია, უნივერსიტეტის ბიზნეს უწყვეტობის გეგმის გაუმჯობესება მისი საფუძვლიანი შემოწმებით საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის უზრუნველსაყოფად, ასევე რისკების შემცირების და მოქმედებების უწყვეტი პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით თანამშრომლებისთვის და სტუდენტებისთვის რეგულარული ტრენინგების ჩატარება.
- სასურველია, გაგრძელდეს სტუდენტთა დაგეგმვის მექანიზმების მონიტორინგი და დახვეწა იმისათვის, რომ შენარჩუნებული იყოს შესაბამისობა უნივერსიტეტის შესაძლებლობებთან და სტრატეგიულ მიზნებთან და უზრუნველყოფილი იყოს ის, რომ ყველა სტუდენტი იღებს მაღალი ხარისხის განათლებას.
- სასურველია, კვლევით პროექტებში მეტი სტუდენტის ჩართვა.
- სასურველია, დოკუმენტში "სტუდენტური პროექტების წესი" აისახოს შესაბამისი ინფორმაცია.
- სასურველია, რეგიონული განვითარების და კვლევის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მახლობელ რეგიონებში არსებულ სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის დამყარება.
- სასურველია, გაგრძელდეს აქტიური მუშაობა საბიბლიოთეკო კატალოგის და ფონდის დამუშავების მიმართულებით.
- სასურველია, უნივერსიტეტის ბიუჯეტში, ხარჯების ნაწილში, ცალკე მუხლად განისაზღვროს ბიბლიოთეკის ფუნქციონირების და განვითარების დაფინანსება.

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

- აკადემიური პერსონალით დაკომპლექტებული ეთიკის საბჭო მოიცავს დარგის წამყვან სპეციალისტებს.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობა მოთხოვნთან	მეტწილად შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა აშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	x	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	x	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	x	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	x	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	x	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	x	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	x	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	x	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	x	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	x	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	x	☐	☐	☐
4	უსდ-ის პერსონალი	☐	x	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	x	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	x	☐	☐
5	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	x	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	x	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	x	☐	☐
6	კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	x	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	x	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	x	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	x	☐
7	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	x	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	x	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	x	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	x	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	x	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. მილან პოლი (თავმჯდომარე)

2. ეკა ლეკაშვილი
3. გაგა გვენეტაძე
4. გიორგი მელაშვილი
5. ხათუნა საგანელიძე
6. ნინო ლიპარტია
7. ვაჟა ქელიკაშვილი

ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობა

1. 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სფეროში და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია

უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და / ან საერთაშორისო დონეზე.

შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია გარკვეულწილად მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის სამივე ძირითად მიმართულებას - სწავლებას, კვლევას და ე.წ. საზოგადოების განვითარებაში ჩართულობას (მესამე მისია). კონკრეტულად, მისია ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

"შექმნას ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით სტუდენტის, პერსონალის, სხვა დაინტერესებული პირის კმაყოფილებაზე დაფუძნებული ახალი ცოდნა და დასაქმების გარემო. სწავლისა და კვლევის ინტეგრირებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამებით, კვლევის შედეგების გამოყენებისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობი პროექტებით, ინოვაციების გაზიარებით წვლილი შეიტანოს რეგიონის თანმიმდევრულ, წარმატებულ და სტაბილურ განვითარებაში, დადებითი ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების, ბიზნესის, სახელმწიფოს კეთილდღეობაზე.

უწყვეტი სწავლის პრინციპით მოამზადოს / გადაამზადოს / მოიზიდოს დემოკრატიულ და ტოლერანტულ მიდგომებზე, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური კადრი, საზოგადოების აქტიური წევრი, რომელიც პოზიტიურად გაუმკლავდება სამომავლო გამოწვევებს.

როგორც განათლების სფეროში რეგიონულმა ცენტრმა, ინსპირირება გაუკეთოს ოპტიმიზმისა და მომავლის რწმენის ჩამოყალიბებას, მუდმივად უზრუნველყოს ხარისხი, ჩართულობა

და განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა სამიზნე ჯგუფისთვის მდგრადი, გონიერი და ინკლუზიური განვითარებისთვის". (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 18).

შეიძლება ითქვას, რომ მისია განსაზღვრავს უნივერსიტეტის როლს როგორც ადგილობრივ / რეგიონულ, ასევე (გარკვეულწილად) საერთაშორისო დონეზე და ითვალისწინებს უნივერსიტეტის როლს საზოგადოების აქტიური წევრების განვითარებაში, ცოდნის შექმნაში და გავრცელებაში, სტუდენტების პიროვნული განვითარების ხელშეწყობაში და შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაში.

მისია განსაზღვრავს უნივერსიტეტის მახასიათებლებს მისი სახის და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით. ამავე დროს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისიაში უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობაზე მკაფიო აქცენტირება შეესაბამება "სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტიდან" "სახელმწიფო უნივერსიტეტად" ფორმირების ახლახან განხორციელებულ ცვლილებას. ექსპერტთა ჯგუფისთვის ცნობილია, რომ აღნიშნული გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებით და აუცილებელი არ არის, რომ გამოწვეული იყოს უნივერსიტეტის სურვილით.

შეჯამების სახით, შეიძლება დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტის მისია შეესაბამება საქართველოს და ევროპული უმაღლესი განათლების მიზნებს და მთლიანობაში განსაზღვრავს უნივერსიტეტის როლს და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცეში და საზოგადოებაში.

უნივერსიტეტის ხედვა, ისევე როგორც ღირებულებები, შეესაბამება მისიას.

მისია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. გასაუბრებების დადასტურდა, რომ მისია გაზიარებულია დაწესებულების საზოგადოების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ზსსუ - ს მისია
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია, მისიაში გათვალისწინებული იყოს უნივერსიტეტში კვლევით აქტივობებზე ახლად წარმოქმნილი ძლიერი აქცენტის ასახვის შესაძლებლობები.

საუკეთესო პრაქტიკა (ეტი) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება

- x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

○ უსდ-ს განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.	აქვს სტრატეგიული
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია სტრატეგიული განვითარების გეგმა (2024 - 2030), ასევე 3 - წლიანი სამოქმედო გეგმა (2024 - 2026) და მისი ყოველწლიური აქტუალიზაცია. სტრატეგიული განვითარების გეგმა ხაზს უსვამს შვიდ სტრატეგიულ მიმართულებას და პრიორიტეტს და აღნიშნული მიმართულებები რეალურად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებს. ამგვარად, სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები ხაზს უსვამს მესამე როლს, ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და სწავლების და კვლევის ინტეგრაციას, პერსონალის განვითარებას, სტუდენტებს და მათ მხარდაჭერას, კვლევას და ინტერნაციონალიზაციას და რესურსებს. შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული გეგმა, ისევე როგორც სამოქმედო გეგმა, ფარავს ყველა იმ მთავარ ასპექტს, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ფუნქციონირებისთვის. თითოეულ შემთხვევაში, სტრატეგიული მიმართულებები და პრიორიტეტები შემდგომში ჩამოყალიბებულია მიზნებად და აქტივობებად, რომლებიც უმეტესწილად მიღწევადი და გაზომვადია. უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავება იყო მონაწილეობითი პროცესი, რომელშიც ჩართული იყვნენ უნივერსიტეტის წარმომადგენლები და გარე დაინტერესებული პირები. მკაფიოდ არის აღწერილი აღნიშნული დოკუმენტის შემუშავების მეთოდოლოგია. ზოგიერთი რესპონდენტის მიერ გასაუბრებების დროს დადსტურდა პროცესის მონაწილეობითი ხასიათი, ზოგიერთ შემთხვევაში დაინტერესებული მხარეების ჯგუფების წარმომადგენლები (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) ფლობდნენ ინფორმაციას გეგმასთან დაკავშირებით, მაგრამ არა მისი შემუშავების პროცესის შესახებ. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია უფრო კონკრეტული მონაცემები და გეგმებს და აქტივობებს აკავშირებს ფინანსურ განაწილებებთან. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს "სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის" დოკუმენტი, რომელიც ეხება მონიტორინგს და შეფასებას. სამოქმედო გეგმის განხილვისას გამოიკვეთა, რომ ის არ არის სრულყოფილი. მაგალითად, შესრულების ინდიკატორები არ არის აღნიშნული დოკუმენტის ნაწილი, რაც გაართულებს პროგრესის მონიტორინგს და შეფასებას. აღნიშნული თვალსაზრისით სასარგებლო იქნებოდა ისეთი მექანიზმების შემუშავება, როგორიც არის წლიური ანგარიშების სისტემატიურად განხილვა. რაც შეეხება მესამე მისიას, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტს შეაქვს წვლილი ქვეყნის/რეგიონის სოციალურ განვითარებაში, საზოგადოებას უზიარებს დაწესებულებაში დაგროვილ ცოდნას და ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას. არსებობს აღნიშნული აქტივობების მტკიცებულება, მათ შორის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობების მდიდარი პორტფოლიო.	
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში • სტრატეგიული განვითარების გეგმა • სამოქმედო გეგმა • სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია • ადგილზე ვიზიტი	

• გასაუბრებები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში ყველა მთავარი დაინტერესებული მხარის წარმომადგენლების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა. • რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს მონიტორინგის და ანგარიშვალდებულების მექანიზმების ეფექტური შემუშავება და განხორციელება.
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ - ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ -ის ხელმძღვანელობა უსდ -ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ მისი ორგანიზაციული სტრუქტურა აღწერილია, როგორც დაწესებულების სტრატეგიული მიზნების ეფექტური განხორციელების მყარი ჩარჩო. სტრუქტურა შედგება ძირითადი მმართველი ორგანოებისგან, როგორც არის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები, ასევე სხვადასხვა ძირითადი და დამხმარე ერთეულები, რომლებიც მოქმედებენ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად. გარე შეფასებების და პრიორიტეტული ამოცანების საფუძველზე განხორციელებული სტრუქტურის ბოლოდროინდელი ცვლილებები მიზანმიმართულია კრიტიკული სფეროების გასაძლიერებლად, როგორც არის კვლევა, ინტერნაციონალიზაცია და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა. თვითშეფასების ანგარიში ხაზს უსვამს ახალი ადმინისტრაციული პოზიციების შექმნას, რომელიც მიზნად ისახავს უნივერსიტეტის მზარდი საქმიანობის უკეთეს მართვას და დეპარტამენტების ერთეულების ფუნქციების დახვეწას, განსაკუთრებით შიდა აუდიტის და ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტის

მმართველი ორგანოები, რომლებშიც შედიან რექტორი, რექტორის მოადგილე და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მკაფიოდ არის განსაზღვრული და მოქმედებენ უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად. გარდა ამისა, დაწესებულება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს, ხოლო საქმისწარმოების წესები შეესაბამება დადგენილ კანონმდებლობას. ასევე, დაწესებულების მართვის პროცესში ნაწილობრივ გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტაციის დამუშავების სისტემა. თუმცა, ელექტრონული სისტემა სრულად არ ფუნქციონირებს ბიბლიოთეკისთვის და სტუდენტებისთვის, რომლებიც უმეტესწილად არ ფლობენ ინფორმაციას არსებული ელექტრონული სისტემის და ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ.

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა რამდენიმე საკითხი, რომელიც ექვს ქვეშ აყენებს ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტურობას. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი ორგანოების არჩევის და დანიშვნის პროცედურები გამჭვირვალეა და შეესაბამება სამართლებრივ მოთხოვნებს, შეინიშნება მნიშვნელოვანი ხარვეზი მათი საქმიანობის ეფექტური მონიტორინგის თვალსაზრისით. მმართველი ორგანოების მიერ წარდგენილი ანგარიშები იღებენ ნაკლებად კრიტიკულ უკუკავშირს, ხოლო საბჭოს განხილვებს აკლია სიღრმე, რაც მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებულების და მუდმივი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა ფრაგმენტულია და წარმოდგენილია არათანმიმდევრული ორგანიზაციული სქემებით. აღსანიშნავია, რომ გარკვეულ დეპარტამენტებს შორის დაბალია კომუნიკაციის დონე, მაგალითად, როგორც არის კვლევითი დეპარტამენტები, რაც იწვევს იზოლირებულ საქმიანობას და შესაძლოა ხელი შეუშალოს უნივერსიტეტის უნარს ეფექტურად განახორციელოს მისი სტრატეგიული მიზნები. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი დეპარტამენტი, როგორც არის ინგლისური ენის და უწყვეტი განათლების ცენტრი, ბიუროკრატიის შემცირების და საქმიანობის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით შესაძლოა გაერთიანდეს.

ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, უნივერსიტეტი ცდილობს გაავრცელოს ინფორმაცია საერთაშორისო პროგრამების შესახებ და წახალისოს მობილობის შესაძლებლობებში მონაწილეობა. მიუხედავად ამისა, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებელი მაინც დაბალია. ხარისხის უზრუნველყოფის ბოლო კვლევის თანახმად, აკადემიური პერსონალის მხოლოდ 13% მონაწილეობს საერთაშორისო მობილობის პროგრამებში. აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა უფრო მიზანმიმართული სტრატეგიების შემუშავება საერთაშორისო აქტივობებში მონაწილეობის გასაზრდელად, რაც კვლავ წარმოადგენს მნიშვნელოვანი გაუმჯობესების სფეროს.

დაწესებულებაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, უსდ - ს შემუშავებული აქვს ბიზნეს უწყვეტობის სტრატეგიული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შესაძლო რისკებს, პრევენციის მექანიზმებს და რისკების შემცირების სტრატეგიებს. ადგილზე ვიზიტის დროს სრულად ვერ დადასტურდა დაწესებულების მზადყოფნა საგანგებო სიტუაციების სამართავად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა <https://zssu.ge/zssu2/en/node/427>
- სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები
- სასწავლო უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების არჩევის / დანიშვნის პროცედურები
- სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნეს უწყვეტობის გეგმა
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები
- საერთაშორისო პროექტების ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმები, ხელშეკრულებები
- ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა ფრაგმენტაციის შემცირების და დეპარტამენტებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, ასევე იმის უზრუნველსაყოფად, რომ ორგანიზაციული სტრუქტურის სქემაში ზედმიწევნით აისახოს მისია, როლები და პასუხისმგებლობები.
- რეკომენდებულია, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება მიზნობრივი სტრატეგიების შემუშავებით საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის გაზრდის მიზნით, უფრო მოქნილი შესაძლებლობების შეთავაზებით და სტუდენტების და პერსონალის ჩართულობისთვის დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფით.
- რეკომენდებულია, თანამედროვე ტექნოლოგიების სრულად გათვალისწინება და გამოყენება, განსაკუთრებით სტუდენტურ და საბიბლიოთეკო რესურსებში, იმის უზრუნველყოფით, რომ როგორც სტუდენტებმა, ისე პერსონალმა იციან და შეუძლიათ დაწესებულების ელექტრონული სისტემების და ინსტრუმენტების გამოყენება.
-

რჩევები:

სასურველია, უნივერსიტეტის ბიზნეს უწყვეტობის გეგმის გაუმჯობესება მისი საფუძვლიანი შემოწმებით საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის უზრუნველსაყოფად, ასევე რისკების შემცირების და მოქმედებების უწყვეტი პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით თანამშრომლებისთვის და სტუდენტებისთვის რეგულარული ტრენინგების ჩატარება.

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. უსდ -ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ -ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ -ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები შექმნილია საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ძირითადად კოორდინირებას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას, რომელიც იმართება შიდა და გარე მარეგულირებელი ჩარჩოებით, როგორც არის ეროვნული კანონმდებლობა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სტანდარტები. აღნიშნული სამსახური, უნივერსიტეტის მასშტაბით ზედამხედველობს ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობას და პასუხისმგებელია უწყვეტი გაუმჯობესების ხელშეწყობაზე, დაგეგმე - განახორციე - შეამოწმე - იმოქმედე (PDCA) ციკლის გამოყენებით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს საქმიანობის ყველა ძირითად სფეროს, როგორც არის საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლება, კვლევა და რესურსების მართვა. აღნიშნული მექანიზმები მხარდაჭერილია როგორც შიდა, ასევე გარე შეფასებებით, როგორც არის გამოკითხვები და აუდიტი, რაც უზრუნველყოფს მათი ეფექტურობის საფუძვლიან შეფასებას. ბოლო

ავტორიზაციის შემდეგ, უნივერსიტეტმა მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს განათლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, შიდა და გარე შეფასებებიდან მიღებული რეკომენდაციების ეფექტური განხორციელებით.

თუმცა, ვიზიტის დროს გამოვლინდა გარკვეული საკითხები, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ოპტიმალურ ფუნქციონირებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფაკულტეტის დონის ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულის გამიჯვნა სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, კვლავ საჭიროა მათი პასუხისმგებლობების მეტი სიცხადე და ინტეგრაცია. აღნიშნული საკითხი ხაზს უსვამს დროთა განმავლობაში ამ ერთეულების როლების და ფუნქციების კორექტირების მნიშვნელობას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შეთანხმებული მუშაობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სხვადასხვა გამოკითხვების, მათ შორის მიზნობრივი გამოკითხვების განხორციელება საკმაოდ კარგი პრაქტიკაა. თუმცა, ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ დაინტერესებული მხარეები სრულად არ არიან ინფორმირებულები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული გამოკითხვების შედეგების შესახებ და არ არიან დარწმუნებულნი, ეფუძნება თუ არა უნივერსიტეტში განხორციელებული ცვლილებები გამოკითხვების შედეგებს თუ სხვა განხილვებს. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ დაინტერესებული მხარეებისთვის გამოკითხვის შედეგების გაცნობა და მათი გამოყენება შემდგომი გაუმჯობესებისთვის შესაძლოა ყოველთვის არ იყოს ეფექტური. უკუკავშირის მექანიზმების თანმიმდევრული განხორციელების და გამოკითხვის შედეგების აქტიური გამოყენების უზრუნველყოფა კვლავ რჩება კრიტიკულ გასაუმჯობესებელ სფეროდ.

უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია კარგად არის ჩამოყალიბებული და ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორც არის შრომის ბაზრის მოთხოვნები, ხელმისაწვდომი რესურსები და სტრატეგიული პრიორიტეტები, იმისათვის, რომ თითოეული სტუდენტისთვის უზრუნველყოს ხარისხიანი განათლება. მიუხედავად იმისა, რომ დაგეგმვის აღნიშნულ მექანიზმს გააჩნია მრავალი უპირატესობა, უნდა განხორციელდეს მისი მუდმივი შეფასება, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა უნივერსიტეტის საერთო მიზნებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების შედეგების ანგარიში
- უნივერსიტეტში განხორციელებული გამოკითხვების შედეგები - ანალიზი და ანგარიში
- "სტუდენტების / პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის და მიღებული სტუდენტების / პროფესიული სტუდენტების კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია"
- ადგილზე ვიზიტი და განხორციელებული გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ცენტრალური და ფაკულტეტის დონის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების როლების დაზუსტება და ინტეგრაცია, ერთიანი და ეფექტური ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის განხორციელების მიზნით.
- რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს ხარისხის უზრუნველყოფის გამოკითხვების შედეგების გავრცელება და გამოყენება დაინტერესებულ მხარეებს შორის, უწყვეტი განვითარების მიზნით მათი გამოყენების უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

- სასურველია, გაგრძელდეს სტუდენტთა დაგეგმვის მექანიზმების მონიტორინგი და დახვეწა იმისათვის, რომ შენარჩუნებული იყოს შესაბამისობა უნივერსიტეტის შესაძლებლობებთან და სტრატეგიულ მიზნებთან და უზრუნველყოფილი იყოს ის, რომ ყველა სტუდენტი იღებს მაღალი ხარისხის განათლებას.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა ○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ეთიკის და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის მიზნით შემუშავებული აქვს ყოვლისმომცველი რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც აღწერილია "ეთიკის კოდექსში" და "სტუდენტთა ეთიკის კოდექსში." აღნიშნული დოკუმენტები, სხვა დამატებით რეგულაციებთან ერთად, როგორც არის "შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის წესები," წარმოადგენენ სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და ადმინისტრაციული პერსონალის ეთიკური ქცევის შენარჩუნების მარეგულირებელ ჩარჩოს. აღნიშნული წესების დარღვევის დისციპლინური ზომები დარეგულირებულია და საჯაროდ ხელმისაწვდომია (https://zssu.ge/sites/default/files/page/ETIKIS%20KODEQSI.pdf), რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. უნივერსიტეტმა ასევე მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია აკადემიური კეთილსინდისიერების ხელშეწყობის მიმართულებით. აღნიშნული მოიცავს პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმების დანერგვას "Turnitin" პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, პლაგიატის პრევენციის სპეციფიკური წესების შემუშავებას და პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის რეგულარულ რეჟიმში ტრენინგების ჩატარებას აკადემიური წერის და პლაგიატის შესახებ. ზსსუ - ს მონაწილეობა TEMPUS - ის საერთაშორისო პროექტში "INTEGRITY" დემონსტრირებს მის ვალდებულებას განავითაროს ინსტიტუციური შესაძლებლობები აღნიშნული მიმართულებით. აკადემიური კეთილსინდისიერების მიმართ უნივერსიტეტის მიდგომა შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ ღირებულებებს და სამართლებრივ სტანდარტებს, რაც ქმნის პატიოსნების, ნდობის და პატივისცემის კულტურას. თუმცა, ადგილზე ვიზიტმა და შემდგომმა მიგნებებმა ხაზი გაუსვა რამდენიმე გასაუმჯობესებელ სფეროს. ბევრმა სტუდენტმა და აკადემიურმა პერსონალმა (მათ შორის საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებმა) გამოავლინეს ციტირების მეთოდებისა და მათი ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების პროცესის არასათანადო ცოდნა. აღნიშნული მიუთითებს კომუნიკაციის და აკადემიური ციტირების სტანდარტების შესახებ ტრენინგის საჭიროებაზე. დამატებით, შეინიშნებოდა შეუსაბამო პლაგიატის პოლიტიკის და პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გაუგებრობები და საფრთხე შეუქმნას აკადემიურ კეთილსინდისიერებას. კიდევ ერთი გასაუმჯობესებელი მხარე ეხება ეთიკის კოდექსში სექსუალური შევიწროების საკითხის გათვალისწინებას. აღნიშნული საკითხის დამატება არსებულ რეგულაციებში მოაგვარებს ეთიკური ქცევის კრიტიკულ ასპექტს და უზრუნველყოფს უფრო მკაფიო ინსტრუქციებს ასეთ სიტუაციებთან გამკლავების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში

• ეთიკის და ქცევის წესები და მათ დარღვევებზე რეაგირების პროცედურები • პლაგიატის გამოვლენის, პრევენციის, პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები • სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი • სასწავლო უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესი • ადგილზე ვიზიტი და განხორციელებული გასაუბრებები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, გაგრძელდეს აკადემიური ციტირების და პლაგიატის პოლიტიკის შესახებ საკომუნიკაციო და ტრენინგ პროგრამების გაუმჯობესება, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ყველა სტუდენტის და თანამშრომლის სრული ინფორმირებულობა არსებული სტანდარტების და პროცედურების შესახებ. • რეკომენდებულია, "ეთიკის კოდექსში" გათვალისწინებული იყოს სექსუალური გადაცდომის საკითხი და აღნიშნული შემთხვევების მართვის მკაფიო წესები, რაც გააძლიერებს დაწესებულების ვალდებულებას ეთიკის და კეთილსინდისიერების მიმართ.
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დამაკმაყოფილებელი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ეფუძნება საგანმანათლებლო სტანდარტებს და მათში წარმატებით არის გამოყენებული ყველა შიდა და გარე ხარისხის სტანდარტი. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, აღნიშნული დასტურდება შიდა ხარისხის შეფასებებით - სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვებით, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებული აკრედიტაციით. 2018 - 2024 წლებში უნივერსიტეტის ორ სამაგისტრო, ექვს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას რეაკრედიტაციის საფუძველზე მიენიჭა აკრედიტაცი, ორ ახალ (მასწავლებლის მომზადების და ვეტერინარიის) ინტეგრირებულ სამაგისტრო და ორ ახალ საბაკალავრო (საინფორმაციო ტექნოლოგიები, სკოლამდელი განათლება) საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია. უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება წარმოადგენს თანამშრომლობით პროცესს, რომელშიც აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობენ შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები:

დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ყველაზე საინტერესო და უნიკალურ ასპექტს წარმოადგენს ის, რომ აღნიშნულ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. აღნიშნული ორგანოები ასევე უზრუნველყოფენ სტუდენტების პრაქტიკას როგორც სწავლის პერიოდში, ისე სწავლის დასრულების შემდეგ; ასევე ისინი წარმოადგენენ ზოგიერთი პროგრამის კურსდამთავრებულების დამსაქმებლებს. მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომის ბაზრის მოთხოვნები, უნივერსიტეტის პრიორიტეტები ძირითადად ეფუძნება ბაზრის კვლევას და რეგიონის საჭიროებებს, საქართველოს ოკუპირებული ნაწილის გათვალისწინებით.

ძირითადად, პროგრამების შემუშავებისას გადაწყვეტილებები მიიღება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე და განსახილველად წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროგრამა ცვლილებებით დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, ფაკულტეტს ჰყავს ეთიკის საბჭო და ყველა ექსპერიმენტი და პრაქტიკული სწავლება, რომელიც მოიცავს ცოცხალ, დაკლულ ცხოველებს და გვამებს, განიხილება აღნიშნულ საბჭოზე.

ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნების და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. თვითშეფასების ანგარიშში არ არის აღწერილი, თუ როგორ ხდება სტუდენტების ინფორმირება პროგრამის გაუქმების ან შეწყვეტის შესახებ, თუმცა გასაუბრებების დროს სტუდენტებმა და ლექტორებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარგად ორგანიზებული საფოსტო სისტემა მიმდინარე ღონისძიებების და პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით. ელექტრონული სასწავლო პროცესის მართვის სისტემა (Ini.ge) ასევე წარმოადგენს ძალიან დახვეწილ ინსტრუმენტს სტუდენტის პორტფოლიოს შესაქმნელად. გარდა ამისა, სათანადო კრედიტების სისტემა წარმოადგენს კარგ საფუძველს სტუდენტების მსგავს ან მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამებზე შეუფერხებელი გადასვლისთვის.

დაბალია სტუდენტების აქტივობა კვლევით პროექტებში, თუმცა ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს უნივერსიტეტისთვის ახალ მოთხოვნას, სავარაუდოდ ეს საკითხი მალე გაუმჯობესდება.

სამაგისტრო პროგრამის ერთ -ერთ ყველაზე ღირებულ სწავლის შედეგს წარმოადგენს კვლევითი ექსპერიმენტების დაგეგმვის, შემუშავების და განხორციელების უნარი, აღნიშნული უნარების შეძენა რთული იქნება სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის გარეშე. აღნიშნული პროექტების განსახორციელებლად უნივერსიტეტს გააჩნია კარგი პოტენციალი ისეთ დაწესებულებებთან და ობიექტებთან კავშირების და თანამშრომლობის გამოყენებით, რომლებიც თანამშრომლობენ უნივერსიტეტის პერსონალთან სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი
- უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგები - ანალიზი და ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): აკადემიური პერსონალით დაკომპლექტებული ეთიკის საბჭო მოიცავს დარგის წამყვან სპეციალისტებს.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი - პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. - ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
პროგრამების სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება უმაღლესი განათლების დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციებს. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების სათანადო ჩამოყალიბების უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად ატარებს საინფორმაციო და საკონსულტაციო შეხვედრებს აკადემიურ პერსონალთან, ხოლო შემუშავებული პროგრამები, როგორც უკვე აღინიშნა, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესის შესაბამისად, შედარებულია აკრედიტაციის და ავტორიზაციის სტანდარტებთან, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და შიდა საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან. უნივერსიტეტში დანერგილია ECTS - კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების ევროპული სისტემის სახელმძღვანელო პრინციპები. პროგრამების შესახებ სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია წარმოდგენილია ვებ - გვერდზე www.zssu.ge ვებ - გვერდი მოიცავს ინფორმაციას როგორც განხორციელებული, ისე დაგეგმილი ღონისძიებების, კონფერენციების, სხვადასხვა ქვეყნის სტიპენდიების, გაცვლითი პროგრამებისა და სხვა საკითხების შესახებ. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ხორციელდება ვებ - გვერდის მუდმივი განახლება და უნივერსიტეტში ვიზიტის დროს, ვებგვერდზე არსებული ყველა ინფორმაცია იყო განახლებული და შეესაბამებოდა წარმოდგენილ დოკუმენტაციას. პროგრამები შექმნილია ეროვნული კანონმდებლობის და პერსონალის გამოცდილების საფუძველზე, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამების შემუშავებისას მხედველობაში მიიღება სხვა უნივერსიტეტების კარგი პრაქტიკა. პროგრამის და საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებაში მონაწილეობენ ლექტორები, ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები. ასევე მონაწილეობენ ადგილობრივი ბიზნესების წარმომადგენლები და სახელმწიფო ორგანოები, რაც უნიკალურს ხდის პროგრამების სტრუქტურას და შინაარსს უნივერსიტეტისა და რეგიონისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად იმ საგნებში, სადაც პრაქტიკული სწავლება სავალდებულოა, სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევა უმეტესწილად დამოკიდებულია ლექტორთან პირად კონტაქტზე. მაგალითად, ვეტერინარული მედიცინის პროგრამის სტუდენტებმა ქირურგიული და კლინიკური უნარები უნდა გამოიმუშაონ პირდაპირი დაკვირვებით და ჩართულობით, თუმცა მიმდინარე კურსების ფარგლებში ეს შეიძლება რთული იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ კლინიკური საგნების ლექტორების უმეტესობა თბილისიდან მოწვეული პერსონალია და დიდმა მანძილმა შეიძლება ხელი შეუშალოს ხარისხიანი პრაქტიკული სწავლების უზრუნველყოფას. ასევე, ვიზიტის დროს ჩვენ ვერ ვნახეთ სამართლის სტუდენტების მიერ შექმნილი წერილობითი საქმეები, რაც მოგვცემდა მათი სწორი შეფასების შესაძლებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში. • ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი • უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგები - ანალიზი და ანგარიში • ადგილზე ვიზიტი • გასაუბრებები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, გაგრძელდეს მცდელობა იმის უზრუნველსაყოფად, რომ კლინიკური საგნების სწავლებისას უნივერსიტეტს ჰყავდეს მეტი ადგილობრივი პერსონალი და არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ მოწვეულ პერსონალზე.
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
თვითშეფასების ანგარიშის და სხვა დოკუმენტების, მათ შორის სილაბუსების თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის" შესაბამისად. აღნიშნული შეფასების პროცედურა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში სტუდენტების

აქტიურ ჩართულობას და ეფუძნება ცოდნის შეძენის უწყვეტი შეფასების პრინციპს.

სტუდენტების მიღწევების დონის შეფასება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის ფარგლებში მოიცავს შეფასების სხვადასხვა ფორმას, მათ შორის შუალედურ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი იძლევა საბოლოო ქულას (იზომება 100-ქულიანი სისტემით). სასწავლო პროცესის რეგულირების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია 3.2.1 დანართში, ხოლო 3.2.3 დანართში წარმოდგენილია პროგრამებთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები.

ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტების შეფასების მკაფიო და კარგად განმარტებული კრიტერიუმები, რომლებიც ასახულია საგნების სილაბუსებში და პროგრამებში.

უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის პროგრამას - სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემების მეშვეობით სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი სერვისები:

1. ინფორმაცია სტუდენტის შესახებ, სადაც სტუდენტს საშუალება აქვს შეასწოროს საკუთარი სააპლიკაციო მონაცემები.
2. სასწავლო ბარათი, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს ნახოს მის მიერ არჩეული საგნები, მიღებული შეფასებები და დაგროვილი კრედიტები.
3. ინდივიდუალური ცხრილის ფორმირება: არსებული საგნების სიიდან სტუდენტს შეუძლია აირჩიოს მიმდინარე სემესტრში შესასწავლი საგნები. არჩეული საგნების კრედიტების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს დადგენილ ზღვარს, რომელიც სტუდენტისთვის წინასწარ არის ცნობილი. საჭიროების შემთხვევაში, დეპარტამენტის ხელმძღვანელი კონსულტაციას გაუწევს სტუდენტს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
4. საგანმანათლებლო პროგრამა: სტუდენტს შეუძლია გაეცნოს ფაკულტეტზე არსებულ სპეციალობათა ჩამონათვალს, მოკლე ინფორმაციას თითოეული სპეციალობის შესახებ და შესაბამისი დისციპლინების ჩამონათვალს.
5. სილაბუსი: სტუდენტს შეუძლია გაეცნოს მის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებს.
6. სპეციალობების არჩევა: სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტს აირჩიოს ან შეცვალოს თავისუფალი კრედიტები.
7. სასწავლო მასალა, ელექტრონული რესურსები და სხვ. სტუდენტს მიეწოდება აღნიშნული სისტემის მეშვეობით.

აღნიშნული ელექტრონული სისტემა სტუდენტებს აწვდის სრულ ინფორმაციას მიღწეული მიზნების, ხარვეზების და გაუმჯობესების გზების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი
- უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგები - ანალიზი და ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი

• გასაუბრებები
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური / სამეცნიერო / მოწვეული / ადმინისტრაციული / დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი / სამეცნიერო / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა ○ უსდ -ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და მართვის გეგმა. პერსონალის მართვის პოლიტიკის ძირითადი დოკუმენტი დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2023 წლის 25 სექტემბერს. ზსსუ წარმოადგენს რეგიონში ერთადერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელსაც აკისრია პასუხისმგებლობა და მოწოდებულია 2030 წლისთვის მოიპოვოს რეგიონული საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქცია. უნივერსიტეტის მთავარი სტრატეგიული დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ 2030 წლისთვის ზსსუ საკუთარ თავს ხედავს როგორც რეგიონულ საგანმანათლებლო ცენტრს, რომელიც პასუხობს შრომის ბაზრის სწრაფად ცვალეზად მოთხოვნებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპით, მიზნად ისახავს კვლევების განხორციელების და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას დაინტერესებულ მხარეებს შორის კარგი რეპუტაციის და მაღალი შეფასების შენარჩუნებით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მიზნის განხორციელება შეუძლებელია მაღალკვალიფიციური აკადემიური და სხვა პერსონალის ჩართულობის გარეშე. ამავ

დოკუმენტის თანახმად, 2024 - 2030 წლებში უნივერსიტეტი გეგმავს პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკის და პროცედურების გაუმჯობესებას.

უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მიღებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2023 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, "მართვის პოლიტიკა" ადგენს სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალის ეფექტური მართვის წესებს, უნივერსიტეტის საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმებს და შეფასების შედეგების ანალიზის, ანგარიშგების და რეკომენდაციების საფუძველზე გაუმჯობესების პროცედურებს. უნივერსიტეტის პერსონალი (მათ შორის აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი) ხელმძღვანელობს "მართვის პოლიტიკის" დოკუმენტით დადგენილი წესებით, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მექანიზმებს, უნივერსიტეტში დასაქმებულთა კმაყოფილების შეფასების / თვითშეფასების / კვლევის, პერსონალის პიროვნული და პროფესიული განვითარების / გაუმჯობესების მექანიზმებს, პერსონალის მართვის პოლიტიკას და ა.შ.

ზუსტ აღიარებს და ადასტურებს მაღალკვალიფიციური პერსონალის საჭიროებას. ამ მიზნით, უნივერსიტეტში მოქედებს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული პერსონალის აყვანის წესები, აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის მექანიზმები და პერსონალის პროფესიული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტები. გარდა ამისა, უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასების წესები. აღნიშნული დოკუმენტაციის თანახმად, პერსონალის აყვანა ხორციელდება ღია კონკურსის ან პირდაპირი გასაუბრების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, აკადემიური პერსონალის აყვანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ხოლო სამუშაო პირობები და ანაზღაურება განისაზღვრება ყოველწლიურად განახლებადი შრომითი ხელშეკრულებით. კონკურსის საფუძველზე აკადემიური პერსონალი შეირჩევა შემდეგი ვადით: პროფესორი 6 წლით, ასოცირებული პროფესორი 4 წლით, ასისტენტ პროფესორი 3 ან 4 წლით. უნდა აღინიშნოს, რომ განსაზღვრული ვადით არჩეული პერსონალისთვის ხელშეკრულებების გაფორმება / განახლება სრულად არ შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. შესაბამისად, აუცილებელია, რომ აღნიშნული ჩანაწერი და შრომითი ხელშეკრულებები შესაბამებოდეს საქართველოს შრომის კოდექსს.

უნივერსიტეტს გათვალისწინებული აქვს პერსონალის პროფესიული და აკადემიური მხარდაჭერის სხვადასხვა მექანიზმები. მათ შორის, საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსური მხარდაჭერა, სამეცნიერო პროექტების და მცირე საგრანტო წამახალისებელი პროექტების გამოცხადება, პუბლიკაციების ფინანსური მხარდაჭერა, პერსონალის წახალისება საერთაშორისო ბაზებში და ჟურნალებში გამოქვეყნებისთვის და ა.შ. უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს ადმინისტრაციული პერსონალის მხარდაჭერას. აღნიშნული მოიცავს თანამშრომლებისთვის შეღავათიან სასწავლო ტარიფებს, შევსებულებას საგანმანათლებლო მიზნებისთვის, სხვადასხვა ტრენინგების და განმავითარებელი ღონისძიებების ორგანიზებას, გარე აქტივობებში ჩართულობის მხარდაჭერას და სხვა.

პერსონალთან გასაუბრების დროს არაერთხელ დაისვა შეკითხვა უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილი პროექტების შესახებ, რომლებიც მიმართული იქნებოდა როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის აკადემიური და პროფესიული საქმიანობის განვითარებაზე და მხარდაჭერაზე. უნივერსიტეტის პერსონალმა დაასახელა რამდენიმე აქტივობა, რომლებიც

მხარდაჭერილი იყო უნივერსიტეტის მიერ და მიზნად ისახავდა პერსონალის პროფესიული უნარების განვითარებას.

ხსენებული დოკუმენტაციის არსებობის მიუხედავად, გამოიკვეთა გარკვეული საკითხები. პერსონალთან გასაუბრების დროს არაერთხელ დაისვა შეკითხვა უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილი პროექტების შესახებ, რომლებიც მიმართული იქნებოდა როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის აკადემიური და პროფესიული საქმიანობის განვითარებაზე და მხარდაჭერაზე. უნივერსიტეტის პერსონალმა დაასახელა მხოლოდ რამდენიმე აქტივობა, რომლებიც მხარდაჭერილი იყო უნივერსიტეტის მიერ და მიზნად ისახავდა პერსონალის პროფესიული უნარების განვითარებას. როგორც ჩანს, საჭიროა უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტებში მითითებული მხარდაჭერის ღონისძიებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდება და პროფესიული განვითარების აქტივობებში პერსონალის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალის არსებობა. აღნიშნული პერსონალის პროფესიული კვალიფიკაცია ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის განხორციელების მიზანს. მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოზიდვა და შენარჩუნება წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთ - ერთი გამოწვევას. ზსსუ არის რეგიონული უნივერსიტეტი, რომლის პერსონალის უმრავლესობა ძირითადად დაკომპლექტებულია თბილისიდან და ქუთაისიდან. გარდა ამისა, მათი აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში და / ან საჯარო თუ კერძო დაწესებულებებში. შესაბამისად, მათი სასწავლო პროცესში ჩართულობა, უწყვეტობა და მდგრადობა არ არის უზრუნველყოფილი ყოველკვირეულად. პერსონალის მრავალმა წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ისინი ჩვეულებრივ თვეში ერთხელ ან ორჯერ ჩადიან უნივერსიტეტში და ატარებენ ლექციებს და კონსულტაციებს. დარჩენილ პერიოდში ლექციები ტარდება დისტანციურად, ადგილზე მყოფი ადგილობრივი ასისტენტის დახმარებით. მიგვაჩნია, რომ ასეთი ფორმით სალექციო პროგრამის წარმართვა ყოველთვის სრულად ვერ უზრუნველყოფს უწყვეტ სასწავლო პროცესს და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

მოწვეული და აკადემიური პერსონალი სასწავლო პროცესში ერთვება უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ღია კონკურსის ან პირადი გასაუბრების საფუძველზე. უნივერსიტეტის ვალდებულებას მუდმივად უზრუნველყოს პერსონალის წახალისება, მონიტორინგი და განვითარება. ამ მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის ყოველწლიური შეფასების / თვითშეფასების პროცედურა. შეფასების პროცესს ახორციელებს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. აღნიშნული მიზნით შემუშავებულია შესაბამისი წესი და განსაზღვრულია რელევანტური კრიტერიუმები / ქვეკრიტერიუმები. ქვეკრიტერიუმების შინაარსი მოიცავს კრიტერიუმების შემადგენელ კომპონენტებს. კრიტერიუმების შეფასების ქულების კომბინაცია განსაზღვრავს შეფასების საერთო ქულას. აღნიშნული წესის მიხედვით, შესაფასებელი პირი აკეთებს თვითშეფასებას, შემდეგ კი ივსება შეფასების ფორმა. შევსებული შეფასების ანგარიში ეგზავნება ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რომელიც მოგვიანებით წარმოადგენს უკუკავშირს. ამგვარად, შიდა შეფასებას სამართლიანად მოსდევს გარე შეფასება.

ადგილზე ვიზიტის დროს დეტალურად იქნა შესწავლილი წარმოდგენილი თვითშეფასების / შეფასების დოკუმენტაცია. წარმოდგენილ მასალებში აღწერილია მხოლოდ მათი საქმიანობის შედეგები, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის შედეგები, პროექტებში მონაწილეობა და სხვა პროფესიული

განვითარების აქტივობები. უნდა აღინიშნოს, რომ 2022 - 2023 წლების საქმიანობის შეფასების დოკუმენტაციის მიხედვით, შემცირებულია პროფესიულ და სამეცნიერო საქმიანობაში პერსონალის ჩართულობა. ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნულია პერსონალის მონაწილეობა სხვადასხვა კონფერენციაში (საქართველოს ფარგლებში), რაც არ არის საკმარისი და საჭიროებს გაძლიერებას. შესაბამისად, საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების მიზნით აუცილებელია დაგეგმილ ღონისძიებებში უნივერსიტეტის პერსონალის მუდმივი მონაწილეობის უზრუნველყოფა. უნივერსიტეტმა უნდა განხორციელოს განმავითარებელ ღონისძიებებში პერსონალის მონაწილეობის და ჩართულობის ზედამხედველობა.

უნივერსიტეტის მიერ აღიარებული პრინციპია სამეცნიერო კვლევებში ჩართულობა და პერსონალის ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში მაქსიმალური ინტეგრაცია. ზემოაღნიშნული მიზნის უზრუნველყოფის მთავარ პირობას წარმოადგენს პერსონალის საშუალო ან მაღალი დონის ენობრივი კომპეტენციის არსებობა. სამწუხაროდ, უნივერსიტეტის პერსონალის აბსოლუტურ უმრავლესობას არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია რომელიმე უცხო ენაში, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება აკადემიური კომუნიკაციისთვის ევროპაში / საერთაშორისო დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პერსონალს სთავაზობდა ინგლისური ენის უფასო სასწავლო კურსს, მათი ენობრივი კომპეტენცია არ არის დამაკმაყოფილებელი. შესაბამისად, პერსონალის ჩართულობა აკადემიურ, პროფესიულ ან სხვა სახის საერთაშორისო აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში, სამეცნიერო საქმიანობაში ვერ განხორციელდება ეფექტურად.

ინგლისური ენის ცოდნის დეფიციტის დასაძლევად და სამეცნიერო საქმიანობის გასაძლიერებლად უნივერსიტეტმა შექმნა ახალგაზრდების ჯგუფი, რომლებიც აღჭურვილნი არიან უცხო ენის ცოდნით და ეხმარებიან პერსონალს სამეცნიერო ბაზებში შესაბამისი მასალების მოძიებაში და თარგმნაში. პერსონალი ხშირად ორიენტირებულია მხოლოდ ადგილობრივ პუბლიკაციებზე. კერძოდ, უნივერსიტეტს თავად აქვს ჟურნალი "კრებსი", სადაც ქვეყნდება პერსონალის ნაშრომები.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ საგანმანათლებლო პროგრამაში არ ხორციელდება უცხო ენოვანი საგანი. დამატებით, პროგრამებში არ არის უზრუნველყოფილი უცხოენოვანი სტუდენტების მიღება. უნივერსიტეტის პერსონალი ძირითადად არ მონაწილეობს მობილობებში ან სხვა საერთაშორისო პროექტებში. თითქმის შეუძლებელია სტუდენტების ჩართვა გაცვლით პროგრამებში. შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი დაწესებულების და პროგრამების ინტერნაციონალიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განხორციელების, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის შედეგების და საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია აკადემიური პერსონალის უცხო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- გასაუბრებები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა განახორციელოს ინვესტირება მაღალკვალიფიციურ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალში, საგანმანათლებლო პროცესის სრული და უწყვეტი მართვის უზრუნველყოფის მიზნით. - რეკომენდებულია, პერსონალის მიერ კვლევითი კომპონენტის შესრულების და პროფესიული განვითარების აქტივობების წახალისების მექანიზმების ჩამოყალიბება.
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა უსდ - ის აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ - ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო - კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.
ზსსუ - ს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის ხელშეკრულება, ლექტორების ყოველწლიური სასწავლო და სამეცნიერო - მეთოდოლოგიური დატვირთვის სქემა მოწვეული პროფესორებისთვის და ლექტორებისთვის, რომელიც განსაზღვრავს მათი სამუშაო დატვირთვის კრიტერიუმებს, უფრო კონკრეტულად, ყოველწლიური აკადემიური სამუშაოს მოცულობას და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საათობრივ სტანდარტს. უნივერსიტეტში ირიცხება 954 სტუდენტი, 318 სტუდენტს შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი. (33,4%). პერსონალის რაოდენობა განსაზღვრულია სტუდენტების რაოდენობის მიხედვით, წარმოდგენილია 77 აკადემიური და 59 მოწვეული პერსონალი. პერსონალის სამუშაო დატვირთვა გათვალისწინებულია შრომითი ხელშეკრულების დანართში. აკადემიური პერსონალის მინიმალური წლიური დატვირთვა შეადგენს 800 საათს, რომელიც ეთმობა საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა საქმიანობას. აღნიშნული მოიცავს სასწავლო კურსის შექმნას, მოდიფიცირებას, ნაშრომების ხელმძღვანელობას, მოდულის მოდიფიცირებას და ა.შ. დამატებითი სასწავლო დატვირთვა პროფესორისთვის შეადგენს 3 საათს, ასოცირებული პროფესორისთვის 6 საათს.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის ცნობილია, რომ ეფექტური მუშაობისთვის აუცილებელია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის ყოლა და მათი რესურსების და პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება. ამ მიზნით უნივერსიტეტი გეგმავს ხელი შეუწყოს აკადემიური პერსონალის შერჩევის, დასაქმების, კარიერული წინსვლისა და დატვირთვის სქემების რეგულირების მექანიზმების გაუმჯობესებას.

ცხადია, რომ ზსსუ - ში აკადემიური პერსონალის დატვირთვა განისაზღვრება გამჭვირვალედ და სამართლიანად, აღნიშნულ პირებთან კონსულტაციების გზით. დატვირთვის განაწილება შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს, მოქმედების პრინციპებს, პოლიტიკას და პრაქტიკას. თითოეული პერსონალის წევრის სამუშაო დატვირთვის განაწილება ასახავს აკადემიური პერსონალისადმი წაყენებული მოთხოვნების სრულ სპექტრს, როგორც არის: კვლევა, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელებული აქტივობები, საუნივერსიტეტო საქმიანობა ან ფართო საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობა, სწავლება, სწავლების მეთოდების და სასწავლო გეგმის განვითარება და ა.შ. აკადემიური პერსონალი არ არის ვალდებული ყოველწლიურად შეასრულოს ზემოთ აღწერილი ყველა მოვალეობა, იმისათვის, რომ სამუშაო დატვირთვის სქემამ ხელი არ შეუშალოს და არ შეზღუდოს მათი პროფესიული და კარიერული წინსვლა.

აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა მოიცავს კვლევით, სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმიანობას, რომელთა პროცენტული და საათობრივი განაწილება განსაზღვრულია შესაბამისი წესით. მკვლევარების მოზიდვისა და კვლევით პროექტებში მათი აქტიური ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, აფილირებული აკადემიური პერსონალის ხელშეკრულების დანართში დაემატა პუნქტი და კვლევითი კომპონენტის პროცენტული წილის გაზრდის ხარჯზე შემცირდა სხვა ვალდებულებები, რაც წარმოადგენს აკადემიური პირის მოტივაციას ეფექტურად განახორციელოს კვლევითი საქმიანობა. ასევე, კანონმდებლობა და წესდებები იცავს აკადემიური პერსონალის უფლებას, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო მიმართულებით მათ საქმიანობას.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან არის 1:7, აფილირებული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან არის 1:20. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობასთან ამჟამად შეადგენს 9:1 -ს (წინა ავტორიზაციის პერიოდში თანაფარდობა იყო 7.5:1). აფილირებული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობასთან შეადგენს 1:2,8-ს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები
- აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის ზღვრული ოდენობის წესი
- ინტერვიუების შედეგები
- შრომითი ხელშეკრულებები და შრომითი ხელშეკრულებების დანართები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სამუშაო დატვირთვის შესაბამისად პერსონალის საქმიანობის ანგარიშგების მექანიზმების გაძლიერება.

რჩევები:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდაჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ისეთი ზოგადი ინფორმაცია, როგორიც არის სტუდენტის სტატუსის მოპოვება, მობილობის განხორციელება, სტატუსის შეწყვეტა და ა.შ. აღნიშნული ინფორმაცია მათთვის საჯაროა და საჭიროების შემთხვევაში, იღებენ დამატებით ინფორმაციას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ გაწეული კონსულტაციების მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ სტუდენტს და უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულება მკაფიოდ ასახავს ორივე მხარის უფლებებს და მოვალეობებს და რაც მთავარია, ხელშეკრულებით დაცულია სტუდენტების სამართლებრივი ინტერესები. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სტუდენტს ყოველ ჯერზე განემარტება უფლებები და მოვალეობები, რომლებიც ეკისრება მას ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება დადასტურდა როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე სტუდენტებთან განხორციელებული გასაუბრების შედეგებით.

სტუდენტის უფლება - მოვალეობები განსაზღვრულია უნივერსიტეტის სხვადასხვა მარეგულირებელი წესით: სტუდენტთა ეთიკის კოდექსი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები, სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება, ეტიკეტი - ონლაინ ქცევის სახელმძღვანელო, ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, გამოცდების ჩატარების პროცედურა, პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის "Turnitin" - ის გამოყენების წესი და პლაგიატის აღმოჩენის კომისიის საქმიანობა, შინაგანაწესი და სხვა. აღნიშნული მარეგულირებელი წესები გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე - სასწავლო პროცესის მართვის სისტემის სამართლებრივ ცნობარში, გარდა ამისა, პირველი კურსის სტუდენტებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეგზავნებათ ეთიკის კოდექსი, გამოცდების ჩატარების წესები და სტუდენტის გზამკვლევი. სტუდენტის ხელშეკრულების ფორმა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე.

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური და ადმინისტრაციული საკითხების გასაჩივრების სისტემა. საგამოცდო ნაშრომის გასაჩივრების პროცედურები რეგულირდება გამოცდების ჩატარების წესით. სტუდენტს უფლება აქვს გაეცნოს შუალედური / დასკვნითი / დამატებითი გამოცდის ნაშრომს და, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივროს მიღებული შეფასება. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი არ ეთანხმება გასაჩივრების შედეგს, რექტორის ბრძანებით იქმნება შესაბამისი სააპელაციო კომისია.

სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით (Ini.ge), სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გააგზავნონ განცხადება მიღებული შეფასების გასაჩივრების შესახებ. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ვიზიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე, ცხადია, რომ დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ადგილზე ვიზიტი • გასაუბრებები • დანართი 3.2.1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი • დანართი 5.1.1. უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების ნიმუში • დანართი 5.1.2. სტუდენტთა ეთიკის კოდექსი • დანართი 5.1.3. სტუდენტის ხელშეკრულების ნიმუში • დანართი 5.1.4. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები • დანართი 5.1.5. გამოცდების ჩატარების პროცედურა • დანართი 5.1.6. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - Ini.ge • დანართი 5.1.7. პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის "Turnitin" -ის გამოყენების წესი და პლაგიატის აღმოჩენის კომისიის საქმიანობა • დანართი 3.2.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია • დანართი 5.1.8. სტუდენტების უფლება - მოვალეობები
რეკომენდაციები: არ არის მითითებული
რჩევები: არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები ○ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. ○ უსდ - ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას. ○ უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.
შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არა მხოლოდ რეგიონის განვითარებაში, არამედ საქართველოს სტრატეგიული ამოცანის

შესრულებაშიც, ვინაიდან უნივერსიტეტის სტუდენტების დიდ ნაწილს წარმოადგენენ ოკუპირებული აფხაზეთიდან გადმოსული სტუდენტები, რომლებიც ინარჩუნებენ კავშირს საქართველოსთან. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რას და როგორ სთავაზობს უნივერსიტეტი სტუდენტებს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერის სხვადასხვა სერვისები, რომლის ერთ - ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის საერთო საცხოვრებელი უზრუნველყოფა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისათვის. ამასთან ერთად, სასწავლო დაწესებულება სოციალურად დაუცველ სტუდენტებს სთავაზობს სწავლის საფასურის ნაწილობრივ შეღავათს, სხვადასხვა სახის სტიპენდიებს წარმატებული სტუდენტებისთვის, ინდივიდუალური სასწავლო განრიგის შესაძლებლობას და ა.შ. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს შეუძლია წარადგინოს ან უშუამდგომლოს სტუდენტისთვის სოციალური დახმარების მინიჭების საკითხს.

ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მუდმივად ტარდება შეხვედრები ახალ სტუდენტებთან, სადაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალი აწვდის მათ სწავლასთან დაკავშირებულ საჭირო ინფორმაციას. უნივერსიტეტი სტუდენტებს ემსახურება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორების მეშვეობით, რომლებიც სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას და უწევენ კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის და აკადემიური მიღწევების შესახებ. ამავე დროს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული განვითარების სამსახური, რომელიც მუდმივად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სტუდენტები ინფორმირებული არიან შეფასებების გასაჩივრების შესაძლებლობების შესახებ, რაც დადასტურდა როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრებით.

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური პროექტების წესი, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ შეუძლია სტუდენტს განსახორციელებლად წარუდგინოს მის მიერ მომზადებული პროექტი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შიდა საუნივერსიტეტო დოკუმენტი არ მოიცავს ინფორმაციას დაფინანსების ზღვრების, ვადების და სხვა ელემენტების შესახებ. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა სტუდენტებს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვადები და დამატებითი წესები უნდა იყოს დაცული პროექტის მოსამზადებლად და განსახორციელებლად

უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტური სამეცნიერო ფონდი, რომელიც სტუდენტებისთვის აცხადებს სხვადასხვა საგრანტო კონკურსებს. უნივერსიტეტში შექმნილია კვლევითი ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს კვლევით პროექტებში მაგისტრანტების ჩართულობას, თუმცა სასურველია, რომ გაიზარდოს სამეცნიერო - კვლევით პროექტებში სტუდენტების მონაწილეობა. სტუდენტები მუდმივად იღებენ ინფორმაციას ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას იხილონ თავიანთი შეფასებები, შეაფასონ ლექციები და სასწავლო პროცესები.

უნივერსიტეტში ჩამოყალიბებულია სტუდენტური თვითმმართველობა, რომლის წევრებიც კარგად აცნობიერებენ უნივერსიტეტში საკუთარ როლს და მისიას. ისინი ფლობენ ინფორმაციას თვითმმართველობის არჩევნების პერიოდის, არჩევნების პროცედურების და მექანიზმების შესახებ. აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებში და მუდმივად უზიარებენ ინფორმაციას უნივერსიტეტის სტუდენტებს. სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით უნივერსიტეტში ტარდება სხვადასხვა შემოქმედებითი ღონისძიებები.

ადგილზე ვიზიტისას დადგინდა, რომ სტუდენტები არ ფლობენ ინფორმაციას წარმომადგენლობით და ფაკულტეტის საბჭოებში მათი როლის შესახებ. გამოვლინდა, რომ სტუდენტები რეალურად არ მონაწილეობდნენ ზემოაღნიშნული საბჭოების მიერ აკადემიური საკითხების განხილვის პროცესში. აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს აკადემიურ, წარმომადგენლობით და ფაკულტეტის საბჭოებში სტუდენტების ეფექტური ჩართულობა.

უნივერსიტეტს გააჩნია საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შესრულების წესი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა საბაკალავრო / სამაგისტრო ნაშრომების ნიმუშები,

რომელთა შესწავლის საფუძველზე დადგინდა, არ არის დაცული ნაშრომების გაფაფორმების წესები, კერძოდ, სახელწოდების გვერდები, შრიფტის ზომები, თავების მითითებები და ა.შ. ნაშრომებში ძირითადად გამოყენებული იყო მხოლოდ ქართულენოვანი წყაროები. მნიშვნელოვანია, რომ საბაკალავრო / სამაგისტრო ნაშრომები შემუშავდეს შესრულების წესის იხედვით და წყაროები მიეთითოს ციტირების წესის დაცვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრებები
- საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები
- ადგილზე ვიზიტი
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პირების სამუშაო დატვირთვა, ფუნქცია - მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები
- დანართი 3.2.1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- დანართი 5.2.2. სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები
- შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები
- ზსსუ - ს ვებ - გვერდი - <http://www.zssu.ge/zssu2/>
- დანართი 5.2.3. სტუდენტებისთვის სტიპენდიების გმინიჭების წესები
- დანართი 5.2.4. კურსდამთავრებულთა კარიერული (მათ შორის დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად)
- და აკადემიური განვითარების კვლევის შედეგები
- დანართი 5.2.5 ახალგაზრდების პოლიტიკა

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ეფექტური ჩართულობა წარმომადგენლობით და ფაკულტეტის საბჭოებში.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები მომზადებულია შესაბამისი წესების, მათ შორის ციტირების წესების დაცვით.

რჩევები:

- სასურველია, დოკუმენტში "სტუდენტური პროექტების წესი" აისახოს შესაბამისი ინფორმაცია.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან / და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშეწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით / შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის განვითარების მიმდინარე სტრატეგია (2025 - 2028) ორიენტირებულია კვლევითი განვითარების პროცესში გამოვლენილ და გათვალისწინებულ ფაქტორებზე:

დაწესებულების პრიორიტეტული და პერსპექტიული მიმართულების / მიმართულებების განსაზღვრა. ფინანსური და ადამიანური რესურსების განსაზღვრა.

აკადემიური სფეროს წარმომადგენლებთან (უნივერსიტეტები, კვლევითი ინსტიტუტები) პარტნიორული ურთიერთობების და თანამშრომლობის დამყარება და გაძლიერება, ასევე ბიზნეს სექტორთან, კერძო კომპანიებთან და საწარმოებთან თანამშრომლობა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კვლევის შედეგებით.

თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან; მკვლევრების გაძლიერება კვლევითი პროექტების მართვის მიმართულებით.

კვლევითი საქმიანობის შედეგების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება. ახალი პროდუქტების და სერვისების შექმნის მიზნით ინოვაციების და კომერციალიზაციის (გამოყენებითი კვლევები) მხარდაჭერა.

ფართო საზოგადოებაში კვლევის შედეგების გავრცელება.

2023 წელს უნივერსიტეტმა პრიორიტეტად დაისახა სამეცნიერო კვლევების განვითარება და აკადემიური პროდუქტიულობის გაძლიერება. დამტკიცდა კვლევის სტრატეგიული გეგმა, რომელშიც განისაზღვრა ძირითადი მიზნები, ამოცანები და გაზომვადი შესრულების ინდიკატორები. აღნიშნული ძალისხმევის მხარდასაჭერად გაიზარდა ფინანსური უზრუნველყოფა და დანამატების გამოყენებით გაძლიერდა აკადემიური პერსონალის მოტივაცია. ზსსუ - ს სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია მოიცავს შემდეგ 4 სტრატეგიულ მიზანს:

1. ინტერდისციპლინური კვლევების ხელშეწყობა.
2. სწავლების პროცესში კვლევის ინტეგრირება.
3. კვლევითი ინფრასტრუქტურის და მკვლევრების საქმიანობის გაძლიერება.
4. კვლევის შედეგების ხილვადობის გაზრდა და ღია მეცნიერების მხარდაჭერა.

ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან განხორციელებული გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტს წარმოადგენს გამოყენებითი კვლევითი პროექტის განხორციელება.

2025 - 2028 წლის სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია ამჟამად საკმაოდ ზოგადია და არ ითვალისწინებს კონკრეტულ სტრატეგიებს. საჭიროა მასში უფრო დეტალური, გასაგები და გაზომვადი ინფორმაციის წარმოდგენა. ასევე, მნიშვნელოვანია შემუშავდეს დროში გაწერილი გეგმა მკაფიო შედეგებით და ინდიკატორებით, ასევე გამოვლინდეს პოტენციური დაფინანსების წყაროები.

რექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი ორიენტირებულია კვლევითი საქმიანობის გააქტიურებაზე, აკადემიური პერსონალის კვლევით უნარებში გადამზადებაზე და მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე. კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრი უცხო ენების ცენტრთან ერთად, უზრუნველყოფს ისეთ სერვისებს, როგორიც არის სამეცნიერო ნაშრომების ინგლისურ ენაზე თარგმნა და ეროვნულ და საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალს წარუდგინა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დახმარებას უწევს მათ სტატიების ინგლისურ ენაზე თარგმნაში. მთავარ გამოწვევას წარმოადგენს აფილირებული პროფესორების სტატიების გამოქვეყნება იმპაქტ - ფაქტორის მქონე ჟურნალებში. კვლევის ხარისხის და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით შემუშავდა სამეცნიერო სტატიების განხილვის პროცესი და საერთაშორისო სარედაქციო საბჭოს წევრების ჩართვის წესი.

აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტმა გაზარდა მისი ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს საერთო საცხოვრებლის, კვების, მგზავრობის, თარგმანის და სამსახურებრივი მივლინებების ხარჯებს. მისიის თანახმად, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს გაზდეს კვლევაზე ორიენტირებული დაწესებულება, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო პრიორიტეტების შესაბამის კვლევებს. პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და შიდა მხარდაჭერის მექანიზმები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესში კვლევის შედეგების გათვალისწინებას.

კვლევის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტი:

- ახალისებს აკადემიურ პერსონალს, მათ შორის ახალგაზრდა მკვლევრებს, შექმნან ახალი ცოდნა და მაღალი ხარისხის პუბლიკაციები და მხარს უჭერს მათ კვლევით პოტენციალს, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას.

- ხელს უწყობს კვლევით ეთიკას და ინტერდისციპლინურ კვლევას, რაც დასტურდება ზუგდიდის გასტრონომიის აკადემიის შექმნით და გასტრონომიის მუზეუმის გახსნის გეგმით.

- ითვალისწინებს კვლევას განათლებაში, რაც დასტურდება პროექტით "ერთი დღე კოლხეთში", რომელშიც სტუდენტები და პროფესორები ერთობლივად მონაწილეობდნენ კვლევაში, რის შედეგადაც შეიქმნა მოკლემეტრაჟიანი ფილმი.

- რთავს სტუდენტებს კვლევით აქტივობებში და მხარს უჭერს ისეთ ინიციატივებს, როგორიც არის ახალგაზრდული კლუბი და შემოქმედებითი ინკუბატორი "ოქროს საწმისი".

- თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ კვლევით ინსტიტუტებთან, რასაც ადასტურებს აკადემიური ჟურნალი "სამართლის აქტუალური საკითხები", რომელიც წარმოადგენს საქართველოს ცხრა რეგიონულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის შედეგს.

საბოლოოდ, უნივერსიტეტი ახდენს საკუთარი რესურსების ოპტიმიზაციას იმისათვის, რომ უზრუნველყოს, რომ კვლევის შედეგები სასარგებლოა საზოგადოებისთვის. ფართო კვლევითი მიზნების ფარგლებში, უნივერსიტეტმა, როგორც კონკურენტული ინოვაციების ფონდის წევრმა, მონაწილეობა მიიღო "საქართველო I2Q - ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი" საგრანტო განაცხადში.

უნივერსიტეტი ჩართულია რამოდენიმე ინტერდისციპლინურ და საერთაშორისო კვლევით პროექტში. ერთ - ერთი პროექტი, "ადამიანის კულტურის საზოგადოება" (ნოემბერი 2023 - დეკემბერი 2024), მიზნად ისახავს კვლევის სწავლებაში ინტეგრირებას ინტერდისციპლინური მიდგომის გამოყენებით, რომელიც ორიენტირებულია ქართულ აზროვნებაში ბუნების და კულტურის ერთიანობაზე და კონფლიქტზე, ასევე თავისუფლებაზე, რელიგიურობაზე და სამართლიანობაზე. აქტივობები მოიცავს სემინარებს, ლექციებს და პოლიტიკური ფილოსოფიის საგანაგებო სკოლას პოლონეთში.

რამდენიმე ევროპულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში მოქმედი კიდევ ერთი პროექტი, იკვლევს კრიზისების გავლენას ევროკავშირის და ევროპული სახელმწიფოების ტრანსფორმაციაზე, სადაც აქცენტი კეთდება საერთაშორისო და ინტერდისციპლინურ განათლებაზე. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს საერთაშორისო კონფერენციას, ვორქშოფებს და საჯარო ლექციებს.

მესამე პროექტი, "ადამიანი, გარე სამყარო, თანასამყარო", ორიენტირებულია უნივერსიტეტში კვლევის და სწავლების გაერთიანებაზე, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე ევროპული აკადემიური სტანდარტების დაკმაყოფილებას. პროექტი მოიცავს საჯარო ლექციებს, კოლოკვიუმებს და ქართველ და საერთაშორისო მეცნიერებთან თანამშრომლობით ახალი სასწავლო პროგრამების შექმნას.

შიდა სამეცნიერო საგრანტო კონკურსის საფუძველზე დამტკიცდა ორი კვლევითი პროექტი:

- რეგიონის ისტორიის და კულტურის პოპულარიზაციის მიზნით - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ისტორიული და კულტურული გზამკვლევი.

- "ციკლულარული ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობები სამეგრელოს რეგიონში".

დამატებით, პროექტის განაცხადი სახელწოდებით "სადაც ყველა გზა იკვეთებოდა: კოლხეთის სანაპირო კულტურების დამაკავშირებელი (ძვ.წ. I - ახ.წ. IV სს.)" წარდგენილ იქნა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში.

გამოცხადდა საგრანტო კონკურსი სახელწოდებით "სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონის სკოლებში მეცნიერების პოპულარიზაცია და სამეცნიერო კვლევების სტიმულირება", რომელიც დაფინანსდება უნივერსიტეტის მიერ. კონკურსის მიზანია რეგიონის სკოლებში მეცნიერების პოპულარიზაცია, უფროსკლასელებში კვლევითი უნარების განვითარება, მასწავლებლების მოტივირება ჩართონ მოსწავლეები კვლევაში, წახალისონ მეცნიერები, განსაკუთრებით ახალგაზრდები მიიღონ მონაწილეობა სასკოლო პროცესში და დაწერონ ინოვაციები, რომლებიც გააუმჯობესებს სკოლის ეფექტურობას და მეცნიერების მიმართ გაზრდის მოსწავლეთა ინტერესს.

უნივერსიტეტი უმასპინძლებს 35 - ე საერთაშორისო ჰეგელის კონგრესს - "სიკეთისა და მორალის იდეა ჰეგელის ფილოსოფიაში" - რომელიც მოიცავს კონფერენციას, საგამომცემლო და კულტურულ ღონისძიებებს.

უნივერსიტეტი, მისი სახის და დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, იღებს ვალდებულებას გაძლიეროს მისი კვლევითი ფუნქცია კვლევითი საქმიანობისთვის ხელსაყრელი პრიობების შექმნით და ხარისხის გაუმჯობესებით, მაგრამ იმისათვის, რომ ეფექტურად განხორციელდეს აღნიშნული მიზანი საჭირო არის სტარტეგიაში პროცესები მკაფიოდ აღწერა, მარეგულირებელ დოკუმენტებში მიღწეული შედეგების შეფასებისა და მონიტორინგის ხელშეწყობის მიზნით.

ეფექტური რეგიონული განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია რეგიონის სხვა უნივერსიტეტებთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება. აღნიშნული თანამშრომლობა არა მხოლოდ აძლიერებს რესურსების, ცოდნის და გამოცდილების გაზიარებას, არამედ ქმნის ძლიერ ქსელს, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციურ კვლევებს. ერთობლივი მუშაობით უნივერსიტეტებს შეუძლიათ უფრო ეფექტურად გადაჭრან რეგიონული გამოწვევები და განავითარონ კვლევითი პროექტები, რომლებსაც ექნებათ ფართო გავლენა. გარდა ამისა, ასეთ თანამშრომლობას შეუძლია უზრუნველყოს ერთობლივი დაფინანსების შესაძლებლობები, ინტერდისციპლინური ინიციატივები და გადაჭრას უფრო დიდი, კომპლექსური პრობლემები, რაც შეიძლება სცდებოდეს ერთი ინსტიტუციის შესაძლებლობებს. შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტებს შორის რეგიონული თანამშრომლობა არა მხოლოდ სასურველია არამედ აუცილებელია მდგრადი განვითარების და კვლევითი სრულყოფილების მისაღწევად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია- 2025-2028 • თანამშრომლობის მემორანდუმები • უნივერსიტეტის ვებ - გვერდი • გასაუბრების შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, 2025 - 2028 წლების სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის განახლება და მასში უფრო დეტალური, გასაგები და გაზომვადი ინფორმაციის გათვალისწინება.
რჩევები: • სასურველია, რეგიონული განვითარების და კვლევის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს რეგიონებში არსებულ სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის დამყარება. • სასურველია, კვლევით პროექტებში მეტი სტუდენტის ჩართვა.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია ○ უსდ - ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო - შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით / სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი / განვითარების / შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე. კვლევის პროდუქტიულობის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა შეიმუშავა და განახორციელა სხვადასხვა მექანიზმები, რომელიც ორიენტირებულია რამდენიმე ძირითად მიზანზე. აღნიშნული მოიცავს ახალგაზრდა მკვლევრებისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირებას და წახალისებას, მათი როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ კვლევით აქტივობებში მონაწილეობის მხარდაჭერას და კვლევის შედეგების მაღალი იმპაქტ - ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში და საერთაშორისო გამოცემებში გამოქვეყნების ხელშეწყობას. უნივერსიტეტი ასევე მიზნად ისახავს პროექტების ეფექტურად განხორციელების მიზნით კვლევითი უნარების გაუმჯობესებას და მხარს უჭერს ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებში წარდგენილ გამოყენებით კვლევით პროექტებს, მათ შორის მაგისტრანტების საკონკურსო პროექტებს. აღნიშნული მიზნების მისაღწევად, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს და წარმატებით ახორციელებს მხარდაჭერის მრავალფეროვან მექანიზმებს. კვლევების დაფინანსება დივერსიფიცირებულია და მოიცავს უნივერსიტეტის საკუთარ ბიუჯეტს, სხვადასხვა სამეცნიერო ფონდების გრანტებს და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების შენატანებს. 2019 - დან 2024 წლამდე სტაბილურად გაიზარდა კვლევის ბიუჯეტი, რამაც გამოიწვია მეტი პროექტის და აქტივობის დაფინანსება. ბიუჯეტი მხარს უჭერს აკადემიურ პერსონალს შიდა სამეცნიერო გრანტების, გარე გრანტების თანადაფინანსების, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ფინანსური დახმარების, სამოგზაურო ხარჯების, გამოცემების და სამეცნიერო ბიბლიოთეკის და ელექტრონული რესურსების გაუმჯობესების გზით.

უნივერსიტეტი გარკვეულწილად ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას როგორც ინდივიდუალური ფაკულტეტის დონის ინიციატივებით, ისე ორგანიზებული ტრენინგ სესიებით. აღნიშნული ტრენინგ კურსები მოიცავს სხვადასხვა მიმართულებებს, როგორც არის კვლევასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები, დაფინანსების წყაროების მოძიება, საგრანტო განაცხადების მომზადება და შეფასება და გამოქვეყნება საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში. უნივერსიტეტი ასევე მხარს უჭერს გრანტების ადმინისტრირებას და დახმარებას უწევს მკვლევარებს ანგარიშგების პროცესში.

პროექტის "რეგიონულ უნივერსიტეტებში კვლევის განვითარების პროცესის მონიტორინგის და მხარდაჭერი მექანიზმების გაძლიერება" ფარგლებში, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს მათზე მორგებულ პროფესიული განვითარების აქტივობების ორ ციკლში. აღნიშნული აქტივობები ორიენტირებული იყო კვლევითი პოლიტიკის დაგეგმვაზე, ინტერნაციონალიზაციაზე, კვლევის კომერციალიზაციაზე, სადოქტორო განათლებაზე, პროექტების შეფასებაზე და აკადემიურ პუბლიკაციაზე. პროექტმა ხელი შეუწყო რეგიონული უნივერსიტეტების ქსელის შექმნას, სადაც გამოცდილების გაზიარების და თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით იმართებოდა შეხვედრები როგორც ონლაინ, ისე პირისპირ.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა თანამშრომლობს პროგრამის ხელმძღვანელებთან სასწავლო პროგრამის სილაბუსებში უახლესი ლიტერატურის შეძენასთან დაკავშირებით.

ბიბლიოთეკის პერსონალს გააჩნია საბიბლიოთეკო საქმიანობის შესაბამისი კომპეტენცია. ბიბლიოთეკის თანამშრომლები სტუდენტებს და პერსონალს აწვდიან ინფორმაციას საბიბლიოთეკო რესურსების და სერვისების შესახებ. აკადემიური წლის დასაწყისში მუდმივად ტარდება საორიენტაციო შეხვედრები და კონსულტაციები. ბიბლიოთეკარი სტუდენტებს ეხმარება ლიტერატურისა და სხვა რესურსების მოძიებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 7.3.1. საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვისა და განვითარების პოლიტიკა
- დანართი 7.3.2 ინფორმაცია ელექტრონული სერვისების და ელექტრონული მართვის სისტემების და მათი განვითარების მექანიზმების შესახებ

• ბიბლიოთეკიდან წიგნის გაცემის პროცედურა • ბიბლიოთეკისთვის შემოწირული დოკუმენტების, წიგნების მიღების და შეფასების პროცედურა • საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებში მივების გზამკვლევი • ბიბლიოთეკის მკითხველის მიერ დაკარგული საბიბლიოთეკო ერთეულების ჩანაცვლების დაარსებული ლიტერატურის დემარკაციის წესი • საბიბლიოთეკო რესურსების შესყიდვის პროცედურა
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებზე განხორციელდეს უფრო ინტენსიური და ეფექტური მუშაობა. • რეკომენდებულია, ვებ - გვერდზე განთავსდეს საერთაშორისო ელექტრონული ბაზების და ელექტრონული კატალოგების გზამკვლევი, რაც აპლიკანტებს მიცემს შესაძლებლობას დამოუკიდებლად გამოიყენონ აღნიშნული სერვისები.
რჩევები: • სასურველია, გაგრძელდეს აქტიური მუშაობა საბიბლიოთეკო კატალოგის და ფონდის დამუშავების მიმართულებით.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსი ○ უსდ - ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები. ○ უსდ - ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ○ ქართულ და ინგლისურ ენებზე.
ზსსუ - ს 2024 - 2030 წლების სტრატეგიული დოკუმენტის 7.3 ამოცანა ითვალისწინებს "სასწავლო უნივერსიტეტის მართვის სისტემებში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სერვისების და პროცესების მართვის ეფექტიანობის, ეფექტურობის და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას". საინფორმაციო ტექნოლოგიებზე წვდომის უზრუნველყოფა. ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად დაიგეგმა შედეგობრივი აქტივობები: 1. სასწავლო უნივერსიტეტში ბიზნეს უწყვეტობის მიზნით შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის, მათ შორის ელექტრონული მართვის სერვისების და ელექტრონული მართვის სისტემების გაუმჯობესება. 2. საუკეთესო IT სპეციალისტების მოზიდვა და მათი პროფესიული ზრდის ხელშეწყობა. თანამედროვე პროგრამული პროდუქტების და ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით პერსონალის ტრენინგების ორგანიზება. 3. ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება. 4. საინფორმაციო უზრუნველყოფის ხარისხის გაზრდა -

ინგლისურენოვანი ვებ - გვერდის გაუმჯობესება, ვებგვერდის საინფორმაციო და საკომუნიკაციო რესურსების გაფართოება. 5. ვებგვერდის ყოველდღიური განახლება, უნივერსიტეტში მიმდინარე რეფორმების და სიახლეების საჯაროობის უზრუნველყოფა. 6. ტექნიკური და პროგრამულ - საინფორმაციო საშუალებების სისტემატური განახლება. 7. ბიზნეს უწყვეტობის მექანიზმების დანერგვა.

ზსსუ - შექმნილი აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც შეესაბამება დაწესებულების ბიზნეს პროცესებს და უზრუნველყოფს მათ ეფექტურ განხორციელებას. ზსსუ - ში ფუნქციონირებს კომპლექსური აპარატურული ინფრასტრუქტურა, იმისათვის, რომ მხარი დაუჭიროს სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და თანამშრომლების სხვადასხვა IT საჭიროებებს. აღნიშნული მოიცავს სტაციონარულ კომპიუტერებს, ლეპტოპებს, პრინტერებს, სკანერებს, პროექტორებს, ინტერაქტიულ დაფებს, სერვერებს, მონაცემთა შენახვის მოწყობილობებს და სხვა პერიფერიულ მოწყობილობებს, რომლებიც განაწილებულია დეპარტამენტებში, ადმინისტრაციულ სამსახურებში, ლაბორატორიებში და საგანმანათლებლო სივრცეებში. რეგულარულად ახლდება აპარატურული სპეციფიკაცია.

2023 წელს, ახალი შენობის გახსნასთან და საგანმანათლებლო პროცესების წარმართვასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა მიიღო 150 ერთეული პერსონალური კომპიუტერი, რომლებიც თავიანთი მახასიათებლებით სრულად აკმაყოფილებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამების მოთხოვნებს. აღნიშნული კომპიუტერები აწყობილი და დამონტაჟებულია მთავარი შენობის ლაბორატორიებში (ლაბ: 213, 225, 226, 227). ახალი შენობის ლაბორატორიები მოწყობილია და ტექნიკურად მომზადებულია. პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, შენობები დაკავშირებულია ოპტიკურ - ბოჭკოვანი კაბელით, რომელიც უნივერსიტეტის ახალ შენობაში, საერთო საცხოვრებელში და სასწავლო სახელოსნოების შენობაში უზრუნველყოფს ინტერნეტზე წვდომას. მთავარ სასწავლო კორპუსში, მეორე სართულზე, მოეწყო სივრცე - სასერვერო, რომელშიც უზრუნველყოფილია გაგრილების სისტემა. ახალ სივრცეში 40 კომპიუტერისთვის მოეწყო საკომუნიკაციო წერტილები.

150 პერსონალური კომპიუტერის გარდა, უნივერსიტეტმა კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით შეიძინა 40 პერსონალური და 20 პორტატული კომპიუტერი. შეძენილ იქნა სერვერული, ქსელური და IT პროცესებისთვის საჭირო ინვენტარი.

ქსელური ინფრასტრუქტურა მოიცავს როგორც სადენიან, ისე უსადენო წვდომის წერტილებს. შეძენილ იქნა ახალი პროექტორები, რომლებიც დამონტაჟდება უნივერსიტეტის აუდიტორიებში და ლაბორატორიებში. უნივერსიტეტს აქვს ციფრული აკადემიები, რომლებიც შემუშავებული და მხარდაჭერილია მსოფლიოს წამყვანი IT კომპანიების მიერ, როგორიც არის: Cisco Networking Academy - სისკოს ქსელური აკადემია, რომელიც 10 წელზე მეტია ფუნქციონირებს უნივერსიტეტში. 2020 წლიდან დაემატა: Redhat Academy - მსოფლიოში წამყვანი Linux დისტრიბუციის სასწავლო რესურსი, Paloalto Networks Academy, Fortinet Networking Academy, AWS academy. ჩამოთვლილი აკადემიების დახმარებით, უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჰქონდეთ წვდომა მწარმოებლის მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო რესურსებზე, რაც ზრდის სასწავლო პროცესის ხარისხს და ეფექტურობას.

2024 წლის მონაცემებით, უზრუნველყოფილი იქნება ოპტიკურ - ბოჭკოვანი ინტერნეტი სიჩქარით 200 მბ / წმ გლობალური - 800 მბ / წმ ლოკალური. 2023 წელს ტენდერის გზით შეძენილ იქნა 420,000 ლარის ღირებულების ტექნიკური და აპარატურული აღჭურვილობა. ჩამონათვალი შედგება ისეთი ქსელური მოწყობილობებისგან, როგორიც არის უსადენო წვდომის წერტილები, როუტერები, კომუტატორები და ფაიერვოლები. ასევე, კომპიუტერის კომპონენტები - არსებული რესურსების გასაძლიერებლად: SSD, RAM. მონაცემთა შესანახი საშუალება (NAS Synology). სერვერი: PowerEdge R650XS. ფაიერვოლი: FG-100F. პროექტორები და საკონფერენციო სისტემა. კაბელები და აღჭურვილობა ქსელური

ინფრასტრუქტურისთვის. რაოდენობები შემდეგნაირია: სერვერი - 3 ერთეული, ფაიერვოლი - 2 ერთეული, კომპუტატორი - 10 ერთეული, როუტერი - 1 ერთეული, უსადენო წვდომის წერტილი - 15 ერთეული, SSD - 150 ერთეული, RAM - 40 ერთეული (4GB DDR4), USB ფლეშ მეხსიერება - 100 ერთეული, საკომუნიკაციო კარადა - 3 ერთეული. ზემოხსენებული მოწყობილობები დაემატა უნივერსიტეტის არსებულ IT ინფრასტრუქტურას, რომლის ძირითადი ნაწილი ასახულია რაოდენობრივად. 2023 წლის ბოლოს და 2024 წლის დასაწყისში, უნივერსიტეტში მიმდინარეობდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის დამონტაჟება, არსებულ 9 კამერას (რომლებიც დამონტაჟებული იყო ახალ სასწავლო კორპუსში) დაემატა 41 შიდა და 123 გარე კამერა, რომლებსაც გააჩნიათ ღამის ხედვის ფუნქცია. კამერების ჩამწერი მოწყობილობა განთავსებულია სასერვეროს საკომუნიკაციო კარადაში.

ტექნიკური აღჭურვილობის გარდა, უნივერსიტეტს აქვს წვდომა საგანმანათლებლო და სამომხმარებლო ციფრულ რესურსებზე. 2018 წლიდან უნივერსიტეტი იყენებს Google Workspace - ის (ყოფილი G Suite), საგანმანათლებლო ვერსიას. უნივერსიტეტის სტუდენტებს, ლექტორებსა და ადმინისტრაციულ პერსონალს აქვთ კორპორატიული ელ - ფოსტა და შეუზღუდავი "cloud" საცავი. პანდემიის პერიოდში აქტიურად გამოიყენებოდა Google Meet სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში წარმართვისთვის. უნივერსიტეტი ასევე იყენებს Microsoft Office 365 A1 უფასო სერვისს. უნივერსიტეტს ონლიან მებეჭდრებისთვის და ღონისძიებებისთვის შესყიდული აქვს Zoom -ის ლიცენზიები. ასევე შეძენილია საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფის ქსელური ლიცენზია. მემორანდუმის ფარგლებში, უნივერსიტეტს უსასყიდლოდ გადაეცა AltaSoft - ის საბანკო ქსელური პროგრამული უზრუნველყოფა. უნივერსიტეტს 2018 წლიდან შეძენილი აქვს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (Learning Management System). მომსახურება მოიცავს ჰოსტინგის სერვისებს, რომელსაც უზრუნველყოფს ქვეკონტრაქტორი კომპანია. ბიბლიოთეკის ნაწილში შეძენილია ელექტრონული წიგნების მართვის სისტემა, ელექტრონული წიგნები ინახება ქვეკონტრაქტორი კომპანიის დაცულ სერვერზე. 2018 წელს პირველად და საპილოტე რეჟიმში უნივერსიტეტმა დაიწყო Moodle სისტემის ბაზის ტესტირება, რომელიც განთავსებული იყო შიდა (ლოკალურ) სერვერზე, ამის შემდეგ პერიოდულად დაიწყო რამდენიმე საგნის მომსახურება. კომპიუტერული ლაბორატორიები გამოიყენება ელექტრონულ რეჟიმში შუალედური და დასკვნითი გამოცდების ჩასატარებლად.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების და პლატფორმების ფართო სპექტრს სწავლების, სწავლის, კვლევის და ადმინისტრაციული ფუნქციების ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული მოიცავს ლიცენზირებულ პროგრამულ პაკეტებს (მაგ. Microsoft Office, Google Workspace), სასწავლო მართვის სისტემებს (მაგ. Moodle, Canvas), ადმინისტრაციულ პროგრამულ უზრუნველყოფას, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემებს და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემებს (LMS, SIS). ფინანსური მართვის ქსელური პროგრამული უზრუნველყოფა. პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა, ინსტალაცია, ლიცენზირება და განახლებები ცენტრალიზებულად იმართება IT დეპარტამენტის მიერ, რათა უზრუნველყოფილ იქნას სალიცენზიო შეთანხმებების, უსაფრთხოების განახლებები და ვერსიების კონტროლი.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტში დანერგილი საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას და პროცედურებს, არეგულირებს საინფორმაციო სისტემების და ელექტრონული სერვისების გამოყენებას, რეგულაციებს და განვითარების მექანიზმებს. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპიუტერული და საინფორმაციო რესურსების გამოყენების ზოგად მიდგომებს და წესებს უნივერსიტეტის მართვის, საგანმანათლებლო და კვლევით პროცესებში, რომლის საფუძველზეც ყალიბდება საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პროცედურები. მისი მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ინფორმაციის ძირითადი მახასიათებლების დაცვას (კონფიდენციალურობა, ხელმისაწვდომობა, კეთილსინდისიერება), რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საინფორმაციო რისკების მართვის და ბიზნეს უწყვეტობის ეფექტურობას. აღნიშნულის საფუძველზე უზრუნველყოფილია ფიზიკური და

საინფორმაციო უსაფრთხოება, ინციდენტების მართვა, მავნე პროგრამულ კოდებზე კონტროლი, სარეზერვო სისტემები, აპლიკაციები და მონაცემები, კომპიუტერული ქსელის მართვა, ახალი სისტემის დაგეგმვა და განვითარება. უნივერსიტეტში ადეკვატურად და ეფექტურად იმართება საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკები, უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვა (მათ შორის პერსონალურ მონაცემთა დაცვა), ფასდება საინფორმაციო სისტემის ეფექტურობა.

სასწავლო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ქსელური ინფრასტრუქტურა კამპუსის მომხმარებლისთვის მაღალსიჩქარიანი, საიმედო კავშირის უზრუნველსაყოფად. ქსელი მოიცავს სადენიან და უსადენო კავშირებს, რომლებიც განთავსებულია სასწავლო კორპუსებში, საცხოვრებელ კორპუსებში, ბიბლიოთეკებში და გარე სივრცეებში. ქსელური მოწყობილობები მოიცავს როუტერებს, კომუტატორებს, წვდომის წერტილებს, ფაიერვოლებს, რომლებიც სტრატეგიულად არის განლაგებული დაფარვის, გამტარუნარიანობის და უსაფრთხოების ოპტიმიზაციისთვის.

სასწავლო უნივერსიტეტში მოეწყო მონაცემთა ცენტრი, რომელიც აღჭურვილია უახლესი სერვერებით, შენახვის სისტემებით და ქსელური მოწყობილობებით. მონაცემთა ცენტრი შექმნილია კრიტიკული IT სერვისების და პროგრამული უზრუნველყოფის მაღალი ხელმისაწვდომობისთვის. ცენტრი აღჭურვილია უწყვეტი ელექტრომომარაგებით და გაგრილების სისტემით. ხანძარ საწინააღმდეგო და ფიზიკური უსაფრთხოების ზომები უზრუნველყოფს შეფერხებებისგან და არაავტორიზებული წვდომისგან დაცვას. შემუშავებულია სარეზერვო აღდგენის და ბიზნეს უწყვეტობის გეგმები გაუთვალისწინებელი მოვლენების გავლენის შემცირების იზნით. ეფექტური IT ინფრასტრუქტურის შენარჩუნება მიზნად ისახავს საიმედო, უსაფრთხო და ტექნოლოგიურად განვითარებული გარემოს უზრუნველყოფას, რომელიც ხელს უწყობს სწავლებას, სწავლას, კვლევას და ინსტიტუციურ საქმიანობას.

სასერვერო აღჭურვილობა, მოემსახურება როგორც ადმინისტრაციას, ასევე გამოყენებული იქნება პროფესიული სტუდენტების პრაქტიკისთვის. სასერვერო აპარატურა მოიცავს: PowerEdge R650XS Rack Server 1 ერთეულის მონაცემებს: 7.2 TB მეხსიერება, 128 GB RAM, 2 X CPU 16 ბირთვი 32 ნაკადი, PowerEdge R730XD Rack Server 1 ერთეულის მონაცემები: 2.4 TB მეხსიერება, 128 GB RAM, 2 X CPU 8 ბირთვი 16 ნაკადი. სერვერულ ინფრასტრუქტურაზე უნდა შენარჩუნდეს ცენტრალიზებული მართვის სისტემა (Active Directory). ცენტრალიზებული ინფრასტრუქტურის მართვა აუცილებელია მომხმარებლების და კომპიუტერების პროდუქტიული ადმინისტრირებისთვის. კომპიუტერული ლაბორატორიები, მათ შორის ზუგდიდის კამპუსის ორივე შენობა და სენაკის ბაზა იმართება ცენტრალიზებულად და არ იქნება დაკავშირებული ადმინისტრაციის ვირტუალურ ქსელურ ინფრასტრუქტურასთან. სერვერზე განთავსდება ახალი და არსებული, მაგრამ განახლებული სერვისები, სტუდენტთა ტესტირების სისტემა, არამატერიალური პროდუქტების და სწავლის შედეგების ციფრული შენახვა. შეიქმნება შიდა "Cloud" საცავი იმ ინფორმაციისთვის, რომელიც არ არის კრიტიკული მნიშვნელობის, მაგრამ ყოველდღიურად გამოიყენება საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების განხორციელებაში. შეძენილი NAS სერვერი უზრუნველყოფს ადმინისტრაციული საქმიანობისთვის საჭირო კრიტიკული ინფორმაციის შენახვას და სარეზერვო ასლების შექმნას. ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით, შეიქმნება ინდივიდუალური მომხმარებლები, რათა თანამშრომლებმა უსაფრთხოდ განათავსონ სერვერებზე სამუშაოსთან დაკავშირებული კრიტიკული ინფორმაცია. შეძენილი უსადენო წვდომის წერტილების და კომუტატორების საშუალებით, უნივერსიტეტის კამპუსში მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იქნება უსადენო ინტერნეტი. დაფარვის არეალი მოიცავს როგორც სასწავლო და სახელოსნო კორპუსებს, ასევე სტუდენტთა საცხოვრებელს. სტუდენტები უსადენო ინტერნეტით სარგებლობას შეძლებენ თავიანთი სტუდენტური ელ - ფოსტის გამოყენებით. სტუმრებისთვის და ადმინისტრაციისთვის შეიქმნება ცალკე მომხმარებელი. დაგეგმილია უნივერსიტეტის "EDUROAM" - თან მიერთება. აღნიშნული შესაძლებელს გახდის ადგილობრივი უნივერსიტეტების ან "EDUROAM" - თან აფილირებული ორგანიზაციების

წარმომადგენლებმა, ასევე საერთაშორისო წევრებმა ისარგებლონ უნივერსიტეტის ინტერნეტით, ინდივიდუალური მომხმარებლის და პაროლის ქონის აუცილებლობის გარეშე. 2023 წელს ტენდერის გზით შეძენილი ფაიერვოლი აქტიურად იქნება გამოყენებული უნივერსიტეტის ქსელური უსაფრთხოების მიმართულებით. მოწყობილობა იძლევა ქსელში შეჭრის პრევენციის და ვებ ფილტრაციის კონტროლის საშუალებას. საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის აუცილებელია შინაარსის კონტროლი, საგანმანათლებლო რესურსებზე სტუდენტების წვდომის უზრუნველსაყოფად და არასათანადო შინაარსის მქონე ვებ - გვერდების ბლოკირების პროცესში რეგულაციების დასაცავად. IT მართვის კუთხით - ქსელის მართვა გაცილებით უფრო ეფექტური იქნება, მარეგულირებლის მოთხოვნით აუცილებელია ლოგირება, შესაბამისად უნივერსიტეტი ამ ფუნქციონალის მქონე ქსელური მოწყობილობების გამოყენებით სრულ შესაბამისობაში მოდის მარეგულირებლის სტანდარტებთან. ამავდროულად, ვინაიდან უნივერსიტეტის ბალანსზე ირიცხება რამდენიმე მოწყობილობა, მათ შესაძლებლობა ექნებათ "SelfDev" აქტივობების ფარგლებში მიიღონ ზემოთ აღნიშნულ მოწყობილობებთან მუშაობის გამოცდილება, რასაც თეორიულ ნაწილში მხარს უჭერს Fortinet Network Security Academy - ის არსებობა. უნივერსიტეტში ქსელური ინფრასტრუქტურა დაიყოფა ვირტუალურ ქსელებად ისე, რომ გარდა აიცილებლობისა ადმინისტრაციულ ერთეულებს არ ექნებათ ერთმანეთთან შიდა ქსელური (არარელევანტური) გადაკვეთები. 2024 წელს უნივერსიტეტში დაგეგმილია ელექტრონული სასწავლო რესურსების გაზრდა, არსებულ საერთაშორისო აკადემიებს, Cisco Networking Academy, RedHat Academy, Fortinet Network Security Academy, PaloAlto Cyber Security Academy და AWS Academy - ს შეუერთდება ვირტუალიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის გიგანტის VMware - ის IT Academy. როგორც ამ აკადემიის ნაწილი, უნივერსიტეტი მიიღებს სასწავლო რესურსებს, ინსტრუქტორების მომზადების მხარდაჭერას და სტუდენტების სასწავლო მასალებს, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ასევე დაგეგმილია Mikrotik - ის სასწავლო რესურსებზე წვდომის მოპოვება და შესაბამისი სარგებლის მიღება. ზსსუ - ს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული აღჭურვილობა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი), რომელიც განკუთვნილია უსდ - ს სერვისებისთვის, მუდმივად და სტაბილურად ხელმისაწვდომია სტუდენტების და პერსონალისთვის.

უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის ხელშეწყობის და ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტში დანერგულია შემდეგი ელექტრონული სერვისები და ელექტრონული მართვის სისტემები:

1. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - Ini.ge;
2. ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow;
3. ადამიანური რესურსების მართვის (შემდგომში - HR პლატფორმა) სისტემა;
4. ელექტრონული სწავლების სისტემა MS Teams;
5. კორპორატიული ელ-ფოსტა;
6. უნივერსიტეტის ვებგვერდი zssu.ge;
7. ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი (OPAC);
8. მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის სისტემა SMS MSG.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემა. უნივერსიტეტში ადამიანური რესურსების აღრიცხვის და მართვისთვის გამოიყენება ადამიანური რესურსების მართვის (შემდგომში - HR პლატფორმა) სისტემა. იგი სრულად შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსის და "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებს. ადამიანური რესურსების ადმინისტრირების პლატფორმის მეშვეობით ხდება შემდეგი სახის ინფორმაციის შენახვა და მართვა: სტრუქტურული ერთეულების და მათი შესაბამისი თანამდებობების აღწერილობების აღრიცხვისა და მართვის სისტემა; უნივერსიტეტში დასაქმებულთა რეზიუმეების აღრიცხვის და მართვის სისტემა; როგორც მოქმედი, ისე გათავისუფლებული პერსონალის პირადი საქმეების აღრიცხვის და მართვის სისტემა; ადამიანური რესურსების მართვის პროცედურების და ბრძანებების აღრიცხვის და მართვის სისტემა; ხელშეკრულებების აღრიცხვის და მართვის სისტემა. პლატფორმა განთავსებულია უნივერსიტეტის სერვერზე და მის ტექნიკურ ადმინისტრირებას უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. ელექტრონული სერვისების და ელექტრონული მართვის სისტემების გამართული ფუნქციონირება შემოწმდა ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების დროს.

სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის ძირითადი და პერიფერიული კომპონენტების უწყვეტი და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური ახორციელებს სისტემის მუდმივ მონიტორინგს. მონიტორინგისთვის გამოიყენება სხვადასხვა პროგრამული საშუალებები, რომლებიც აფიქსირებენ ხარვეზებს და რეალურ დროში ელ - ფოსტის და სპეციალური ბოტების გამოყენებით ატყობინებენ ადმინისტრატორთა გუნდს სისტემაში დაფიქსირებული პრობლემის შესახებ. უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურში დასაქმებული პერსონალი გადამზადებულია თავიანთი საქმიანობის ფარგლებში.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული აღჭურვილობა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი), რომელიც განკუთვნილია უსდ - ს სერვისებისთვის, მუდმივად და სტაბილურად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და პერსონალისთვის.

ზსსუ - ს ყველა თანამშრომლისთვის და სტუდენტებისთვის შექმნილია კორპორატიული ელ - ფოსტა. უნივერსიტეტის მართვის სისტემებში და "Moodle" - ის სისტემაში ავტორიზაცია, სხვადასხვა ელექტრონულ და სამეცნიერო ბაზებზე წვდომა ხორციელდება ელ - ფოსტის საშუალებით. ელ - ფოსტის მეშვეობით ადმინისტრაცია სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას სიახლეების, სპორტული და / ან აკადემიური ღონისძიებების, აქტიური ვაკანსიების შესახებ.

ზსსუ - ში დანერგილია საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, რომელიც არის eDocument. იძლევა ოფიციალური დოკუმენტების ელექტრონობრუნვის საშუალებას. სისტემის მეშვეობით მარტივად ხორციელდება დავალებების, რეაგირების და სხვა საორგანიზაციო საკითხების მუდმივი მონიტორინგის პროცესი.

ელექტრონული სერვისების განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები.

ავტორიზაციის ვიზიტის დროს, უნივერსიტეტში ბიზნეს უწყვეტობის არსებული მექანიზმების შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დაწესებულების ბიზნეს უწყვეტობის წესი, რომელიც 2023 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილებით დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. აღნიშნული წესი არეგულირებს ზსსუ - ს უწყვეტ ფუნქციონირებას მოულოდნელი ან არაორდინარული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

წესი განსაზღვრავს რისკების სახეებს, მათი დადგომის ალბათობას, ზემოქმედებას, ზემოქმედების ეფექტებს და ა.შ. და რისკების შეფასების საფუძველზე შემუშავდება რისკების მართვის გეგმა. რისკების მართვის პროცესში მონაწილეობს უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი. წესი განსაზღვრავს ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის შემუშავებას / დამტკიცებას. უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახური მონიტორინგს უწევს ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის შემუშავებას. დაწესებულებამ წარმოადგინა შიდა აუდიტის მიერ შემუშავებული 2024 - 2029 წლების ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, სადაც წლების მიხედვით დეტალურად არის გაწერილი რისკების გამოვლენა, დადგომის ალბათობა, გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე, სტუდენტებზე, საპასუხო ღონისძიებები და კონტროლის მექანიზმები, ანგარიშების პერიოდი, გაუმჯობესების პოტენციური გზები, პასუხისმგებელი სამსახური და შეფასება. ასევე წარმოდგენილია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და აუდიტის სამსახურის 2023 წლის ანგარიშები.

ბიზნეს უწყვეტობის გეგმა მოიცავს საინფორმაციო ტექნოლოგიებს, მატერიალურ რესურსებს, ბიზნეს ოპერაციებს, დაცვას და უსაფრთხოებას და ადამიანურ რესურსებს.

მატერიალური რესურსების მიმართულებით ბიზნეს პროცესების უწყვეტობის პრინციპები მოიცავს: ელექტროენერგიის, წყალმომარაგების, გათბობის, ინტერნეტის, საქმისწარმოების უწყვეტი მიწოდების

სისტემას, ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობის უწყვეტობის პროცედურის შესაბამის მოქმედებას.

უნივერსიტეტის ვებ - გვერდი შეიქმნა 2010 წელს არსებული კოდით. ადრე არსებული ვებ - გვერდი შედგებოდა ცალკეული Perl სკრიპტებისგან. თუმცა, 2010 წელს შინაარსის მართვის სისტემაზე გადასვლის და უნივერსიტეტის მოთხოვნებიდან გამომდინარე არჩეულ იქნა ე.წ. "Drupal" - ი. თავდაპირველად ვებ - გვერდი შემუშავდა Drupal 5-ის ბაზაზე. შეიქმნა ვებ - გვერდის დიზაინი და Drupal-ის თემა. 2012 წელს განხორციელდა Drupal - ის პირველი განახლება მე - 6 ვერსიაზე, რამაც ვებ - გვერდს შესძინა დამატებითი ფუნქციები და ამავე დროს შემუშავდა ახალი დიზაინი. 2016 წელს მოხდა Drupal - ის მე - 7 ვერსიაზე განახლება და შეიქმნა ვებ - გვერდის კიდევ ერთი დიზაინი. აღნიშნული განახლებები ეხება უშუალოდ Drupal - ის განახლებას ერთი მთავარი ვერსიიდან მეორეზე და არა ვებ - გვერდის შინაარსს. უშუალოდ ვებ - გვერდის შინაარსის განახლება ან ახალი შინაარსის დამატება ხორციელდება და ხორციელდება ყოველდღიურ რეჟიმში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ Drupal - ის მთავარი ვერსიის განახლების გარდა ხორციელდებოდა სხვა ცალკეული კომპონენტების (მოდულების) განახლებაც. ასევე ხდებოდა ახალი მოდულების ინსტალაცია, რაც თავის მხრივ ვებ - გვერდს მატებდა ახალ შესაძლებლობებს. 2023 წლის დეკემბერში შემუშავდა ვებ - გვერდის ახალი დიზაინი, თუმცა, უშუალოდ Drupal - ის კოდი არ განახლებულა და დარჩა მე - 7 ვერსია. აღნიშნული განახლებით ვებ - გვერდმა შეიძინა ე.წ. "რეაგირების" დიზაინი Bootstrap 4 - ის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს ვებ - გვერდის სმარტფონების ეკრანებზე კარგად ჩატვირთას. უნდა აღინიშნოს, რომ Drupal 7 - ის კოდი უკვე მოძველებულია, რაც თავის მხრივ აისახება ახალი, თანამედროვე შესაძლებლობების დანერგვის პროცესის სირთულეზე, თუნდაც ის, რომ "რეაგირების" დიზაინი მუშაობს გარკვეული შეზღუდვებით. ამას ემატება ის ფაქტი, რომ 2025 წლის იანვრის შემდეგ Drupal 7 - ს აღარ ექნება ოფიციალური მხარდაჭერა. თუმცა, Drupal 7 - ის შემდგომი ვერსიები რადიკალურად განსხვავდება წინამორბედებისგან, რაც გაართულებს სისტემის განახლებას. ზემოთ ხსენებული ფაქტებიდან გამომდინარე, დაგეგმილია სრულიად ახალი ვებ - გვერდის შემუშავება Drupal 10 - ის ბაზაზე, უახლესი კომპონენტებით და Bootstrap 5 - ის გამოყენებით. ახალი ვებ - გვერდი სრულად დააკმაყოფილებს უნივერსიტეტის მოთხოვნებს, უახლესი სტანდარტების და ტენდენციების გათვალისწინებით სულ მცირე მომდევნო 5 - 7 წლის განმავლობაში.

2023 წლის დეკემბერში უნივერსიტეტის ვებ-გვერდის და სხვა ციფრული რესურსების ჰოსტინგისთვის შეძენილ იქნა დამატებითი ჰოსტინგი, რომელზეც განთავსდება უნივერსიტეტის ძირითადი ვებ - გვერდი და სტუდენტებისთვის შეთავაზებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი. ელექტრონული სასწავლო პროცესის მართვის სისტემის სერვისის მოძრაობს და იკვეთება ახალ ჰოსტინგთან. უნივერსიტეტს ინტერნეტი მიეწოდებოდა ოპტიკურ - ბოჭკოვანი ქსელით, სიჩქარე: 200/600 მბ/წმ გლობალური/ლოკალური.

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ - გვერდის განახლების პროცესი მიმდინარეობს როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. ასევე, როგორც 7.2 და 7.4 კომპონენტებშია აღნიშნული, ვებ - გვერდზე უნდა აიტვირთოს მარეგულირებელი დოკუმენტები და ანგარიშები. სხვა მხრივ, ოფიციალური ვებ - გვერდი მეტწილად უზრუნველყოფს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციებს, მოიცავს საკონტაქტო და სხვა სასარგებლო ინფორმაციას ქართულ და ინგლისურ ენებზე, მათ შორის უსდ - ს მისიას, მის საქმიანობას, სტრუქტურას, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს, პროგრამებს და ჩარიცხვის კრიტერიუმებს, მოსალოდნელ სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციებს, სწავლება - სწავლის და შეფასების პროცედურებს, ინფორმაციას ადმინისტრაციული / აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის შესახებ, ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგს, მარეგულირებელ დოკუმენტებს, სტრატეგიული განვითარების გეგმებს, წლიურ

ანგარიშებს, ფინანსურ ანგარიშგებებს, მიმდინარე და განხორციელებულ კვლევებს (შედეგებს), ძირითად სტატისტიკას, ხელმისაწვდომ სერვისებს, დასაქმების შესაძლებლობებს და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 2.4. ბიზნეს უწყვეტობის გეგმა
- დანართი 7.3.1. საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის და განვითარების პოლიტიკა
- დანართი 7.3.2 ინფორმაცია ელექტრონული სერვისების და ელექტრონული მართვის სისტემების და მათი განვითარების მექანიზმების შესახებ
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - <https://zssu.ge/>
- გასაუბრების შედეგები
- ინფრასტრუქტურის დათვალიერება

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, სრულ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით გაუმჯობესდეს და განახლდეს უნივერსიტეტის ვებ - გვერდი.

რჩევები:

არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არის მითითებული

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ - ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ - ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ - ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ - ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

2020 - 2030 წლების სტრატეგიულ მიზნებში 7.4 ქვემიზანი ითვალისწინებს სასწავლო უნივერსიტეტში ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვის, დაგეგმვის და კონტროლის ეფექტური სისტემის უზრუნველყოფას. აღნიშნული თავი მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

ანგარიშვალდებულების მექანიზმების შემდგომი სრულყოფის გზით შიდა ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ეფექტიანობის გაზრდა; შიდა აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის,

სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით კონტროლის და პროფესიული ზრდის სისტემის გაძლიერება; საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური, ეფექტიანი, პროდუქტიული და მიზნობრივი მართვა / ხარჯვა და ა.შ. 7.5 ქვემიზანი ეხება ფინანსურ რესურსებს, რომელიც მოიცავს შემდეგ აქტივობებს: დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება, სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური და საბიუჯეტო პოლიტიკის და საბიუჯეტო პროცესის მართვის გაუმჯობესება; სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო, კვლევითი და სხვა საქმიანობის ადეკვატური ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა; სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური რესურსების ოპტიმალური დაგეგმვის და განაწილების შესაძლებლობა, მათ შორის კვლევების, სტუდენტური პროექტების, კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო კურსების, ინფრასტრუქტურული პროექტების, სტრატეგიული გეგმის რეალიზებისთვის საჭირო ფინანსური რესურსები; დაფინანსების მრავალფეროვანი წყაროების მართვა (სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამების დაფინანსება, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, საერთაშორისო პროგრამების დაფინანსება, შემოწირულობები), დაფინანსების ახალი წყაროების მოზიდვა (გარე დაფინანსების წყაროები - გრანტები, სახელმწიფო პროექტების დაფინანსება), შიდასაუნივერსიტეტო რესურსების მოძიება და ამოქმედება (საქმიანობის კომერციალიზაცია); დაფინანსების ახალი წყაროების მოზიდვა (გარე დაფინანსების წყაროები - გრანტები, სახელმწიფო პროექტების დაფინანსება) უნივერსიტეტის შემოსავლების გაზრდა, სტრატეგიული გეგმის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური რესურსებისა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა; სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ხელშეწყობა სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების ჩამოყალიბებაში, პროგრამული დაფინანსების დანერგვა; სასწავლო უნივერსიტეტში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასება.

2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლები შეადგენს 6,654,275.0 ლარს, საიდანაც 884,444.0 ლარი არის ნაშთი პერიოდის დასაწყისში, ხოლო 88,950.0 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება. გრანტები შეადგენს 280,881.0 ლარს. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები შეადგენს 1000881.0 ლარს. სხვა სახელმწიფო დონის ერთეულებიდან დამტკიცებული გრანტი შეადგენს 180,000.0 ლარს (მათ შორის რუსთაველის ფონდი, თვითმმართველი ერთეულიდან - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული სხვა მიმდინარე დანიშნულების გრანტები), ქონებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 5,400,000.0 ლარს, პროცენტი - 10,000.0 ლარი. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია (სწავლის გადასახადი) 5 350 000.0 ლარი (მათ შორის უმაღლესი განათლების სწავლის გადასახადი 2 250 000.0 ლარი, საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო გრანტის სახით მიღებული შემოსავალი (ვაუჩერული დაფინანსება) 3 100 000.0 ლარი. კანონით დაშვებული შემოსავლები 40 000.0 ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 40,000.0 ლარი.

ხარჯების ნაწილში (5,872,450.0 ლარი), შრომის ანაზღაურება შეადგენს 2,292,000.0 ლარს, საიდანაც ოფიციალური თანამდებობრივი სარგო არის 2,140,000 ლარი (მათ შორის ადმინისტრაცია და სხვა პერსონალი 1,400,000 ლარი, აკადემიური პერსონალი 740,000 ლარი, პრემია 112,000 ლარი, დანამატი 40,000 ლარი). საქონლის და მომსახურების ხარჯი შეადგენს 3,337,500 ლარს (საიდანაც შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება არის 2,150,000 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა პრემია 50,000, მივლინების ხარჯი 512,500, წარმომადგენლობითი ხარჯი 25,000, კვების ხარჯი 18,000 ლარი და სამედიცინო ხარჯი 3,000 ლარი).

ბიუჯეტით გათვალისწინებულია რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენასთან და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები (5,000 ლარი), ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა - შენახვის ხარჯები (60,000 ლარი). სხვა საქონელი და მომსახურება (474 000 ლარი), მათ შორის პროფესიული მასწავლებლის მომზადების ხარჯები (15 000 ლარი), სტუდენტური ღონისძიებების ხარჯები (82 000 ლარი), კონფერენციების / პროფესორთა ტრენინგების ხარჯები (42 000 ლარი), საჯარო ლექციები (25 000 ლარი), სამეცნიერო ხარჯები (200 000 ლარი) და სხვა ხარჯები (110 000 ლარი).

ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო სტიპენდიებს და გრანტებს. ძირითადი აქტივებისთვის დაგეგმილია 781,825 ლარი. უნივერსიტეტს არ აქვს საკრედიტო დავალიანებები.

ბიუჯეტი დამტკიცებულია შესაბამისი პროცედურების დაცვით, ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მდგრადია, რაც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის დინამიკის მაჩვენებლების ანალიზით. 2018 წელთან შედარებით, 2023 წლისთვის უნივერსიტეტის ბიუჯეტი თითქმის 3 - ჯერ არის გაზრდილი. შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული და დამატებითი დოკუმენტების შესწავლის და ავტორიზაციის ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ შემოსავლების დივერსიფიცირებით, ყოველწლიურად იზრდება დაფინანსების მოცულობა. სხვადასხვა დონორებისგან მოზიდული სახსრები უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს დააფინანსოს როგორც საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობა, ასევე ინსტიტუციური აქტივობები. აღნიშნული იძლევა ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის და უნივერსიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების საშუალებას საკუთარი შემოსავლებიდან გამოთავისუფლებული სახსრების მეშვეობით. სტრატეგიული განვითარების მიზნით დასახული ამოცანების შესრულება ასევე განპირობებულია უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობით. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების განხორციელება ეფუძნება წინა წლების ფინანსურ ანალიზს და წლების მიხედვით გაწერილ შემოსავლების პროგნოზს.

2019 - 2023 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით და 2024 - 2026 წლების პროექტით გათვალისწინებული ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების ბიუჯეტი, რომელიც შემუშავებულია "შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის / დამტკიცების, შემოსავლების წყაროების განსაზღვრის და ხარჯების განაწილების წესის" შესაბამისად. აღნიშნული წესი არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტის მომზადება / დამტკიცებას, შემოსავლების წყაროების განსაზღვრას და ხარჯების განაწილებას. ბიუჯეტის ყველა შემოსავალი და ხარჯი სრულდება სახელმწიფო ხაზინის სისტემის მეშვეობით.

ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტში საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების განვითარებასთან ერთად გათვალისწინებულია სათანადო სახსრები ბიბლიოთეკისთვის, უნივერსიტეტის განვითარებისთვის, პოპულარიზაციისთვის, სტუდენტური აქტივობებისთვის, შემოქმედებითი და სხვა სახის ღონისძიებებისთვის, ასევე უნივერსიტეტის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განახლებისთვის. კვლევების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ყოველწლიურად ბეჭდავს/ახორციელებს შრომათა კრებულების, მონოგრაფიების, საერთაშორისო და ადგილობრივი საკონფერენციო მასალების, სახელმძღვანელოების / დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემას, აწყობს საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის თანახმად, მოეწყო ახალი საბიბლიოთეკო სივრცე, განხორციელდა სივრცის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა წარმატებით ფუნქციონირებდა. მუდმივად ხდებოდა საბიბლიოთეკო რესურსების განახლება / შევსება. მკითხველებისთვის საჭირო მასალის დროული მიწოდება როგორც ადგილზე, ისე ონლაინ ელექტრონული სახით. აღნიშნული დადასტურდა ინფრასტრუქტურის დათვალიერების და გასაუბრებების პროცესში. თუმცა, 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ცალკე არ არის გამოყოფილი ბიბლიოთეკის ფუნქციონირების და განვითარების ხარჯები. 2024 წლისთვის მთლიან ბიუჯეტთან კვლევითი / სახელოვნებო, განვითარების და შემოქმედებითი საქმიანობისთვის გამოყოფილი თანხის თანაფარდობა შეადგენს 3.6% - ს, 2026 წლისთვის დაგეგმილია მაჩვენებლის 4.0% - მდე გაზრდა. უნივერსიტეტის ერთწლიან და სამწლიან სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებულია შესაბამისი ამოცანები ბიბლიოთეკის საქმიანობის

ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. მათ შორის წარმოდგენილია მხოლოდ სამეცნიერო ბიბლიოთეკის მხარდაჭერის - ღირებულებითი ნაწილი და იგი 10 000 და 30 000 ლარს.

სასურველია უნივერსიტეტის ბიუჯეტში, ხარჯვით ნაწილში ცალკე ჩამოყალიბდეს მუხლი ბიბლიოთეკის ფუნქციონირების და განვითარების დაფინანსების შესახებ, რაც დაადასტურებს დაწესებულების მიერ ამ მიმართულებით დაგეგმილი ამოცანების განხორციელების ფინანსურ ნაწილს.

ფინანსური მართვის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში დანერგილია ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვის და კონტროლის ეფექტიანი სისტემა, ის რეგულირდება შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის ეფექტური მართვის წესით. ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის დანერგვის მიზანს წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური მართვის ხარისხის გაუმჯობესება, სასწავლო უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის გაზრდა მათი კომპეტენციის ფარგლებში, შიდა კონტროლის მექანიზმების განხორციელების, საქმიანობის შესაბამისობის, მიზნების არსებულ ბიუჯეტთან თავსებადობის, მიზნების დროულობის და სპეციფიკურობის, გაზომვადობის, მიღწევადობის და რეალისტურობის უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამის პოლიტიკის დოკუმენტზე დაფუძნებული ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემა. ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის შეფასებას ახორციელებს სასწავლო უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი. ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის შეფასებისას, ფინანსური სამსახურის და სხვა სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით, ხელს უწყობს (არ მონაწილეობს) უნივერსიტეტის ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის დანერგვას. განახლებული აუდიტის და ფინანსური ანგარიშები არ არის განთავსებული ვებ - გვერდზე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი შეიმუშავებს და წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის დანერგვის / განვითარებისთვის საჭირო წესებს და პროცედურებს, კონსულტაციას უწევს ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემაში ჩართულ სტრუქტურულ ერთეულებს, ორგანიზებას უწევს სისტემის დანერგვის პროცესში საჭირო ტრენინგებს, სემინარებსა და სხვა სახის სამუშაო შეხვედრებს.

ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო უნივერსიტეტში ანგარიშგების პროცესი ხორციელდება ორ დონეზე: ა) ქვედა დონეზე - სტრუქტურული ერთეულები წარუდგენენ ანგარიშს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ბ) ზედა დონეზე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი აჯამებს მისთვის წარდგენილ ანგარიშებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს. წლიური ანგარიშის მიზანია ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის დანერგვის, განვითარებისა და ფუნქციონირების, ასევე სტრუქტურული ერთეულების მიერ განხორციელებული ქმედებების ეფექტიანობის და პროდუქტიულობის შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის ინფორმაციის წარდგენა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კი - მმართველი ორგანოებისთვის. ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის დანერგვის წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ბიუჯეტის შედგენისა და დამტკიცების წესის თანახმად, უნივერსიტეტის ბიუჯეტს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რეკომენდაციით და წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო. აღნიშნული მექანიზმის ეფექტურობა დადასტურდა ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებისას.

საჯაროობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ზსსუ - ს ბიუჯეტი • თვითშეფასების ანგარიში • ფინანსური ანგარიშები მიმდინარე და / ან წინა საანგარიშგებო პერიოდებზე • ფინანსური მენეჯმენტის და კონტროლის სისტემის შესავლის დოკუმენტი • გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან • უნივერსიტეტის ვებ - გვერდი: https://zssu.ge/zssu2/node/40
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე განახლდეს ფინანსური და აუდიტის ანგარიშები.
რჩევები: • სასურველია, უნივერსიტეტის ბიუჯეტში, ხარჯების ნაწილში, ცალკე მუხლად განისაზღვროს ბიბლიოთეკის ფუნქციონირების და განვითარების დაფინანსება.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან